7-8-9

# პიონერი

სახელგამი
1932



ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა საქმისათვის იყავ მზად!

# პიონერი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვთათვის.

№ 7-8-9

აპრილი
1932
წელიწადი მე-7
რედაქციის მისამართი:
ალმასკომის ქ., № 7.
სახელგამი,
საყმაწვილო და საბავშო
სექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა





## შინაარსი

1. ათი წელი . . . . . . . . . 1
2. ბრძოლის ცეცხლში ლექსი—ავ. კაშმაძის . . . 2
3. პიონერორგანიზაციის მუშაობის შესახებ . . . . . . . 3
4. პირველი მაისი და აღდგომა თარგ. მოდებაძისა . . . . 6
5. სალამი საბჭოთა კავშირის პიონერებს—პოსტიშევის . . 11
6. საქართ. ბავშთა კომუნისტური მოძრაობის ისტორიიდან 11
7. შანხაის ნავთსადგურში — ს. ერთაწმინდელის . . . . 12
8. ტემპები სკოლის ბოსტანში— ლექსი— დაფნარელის . . . 15
9. ბავშთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები--გობეჯიშვილის 16
10. ზანგები იმპერიალიზმის უღელში . . . . . . . . . . . 17
11. პირველი მაისი ბრძოლის დღესასწაულია . . . . . . . . 19
12. პიონერული პრესა—ინისა . . 21
13. „შვილი ერისა“ და შვილი კლასისა . . . . . . . . . 22
14. სკოსბორის ტუსაღები . . . 24
15. რკინა—ბოკერიასი . . . . 24
16. სხვადასხვა . . . . . . . გარეკანზე

სარედაქციო კოლეგია: ან. გველესიანი, ქ. მელაძე, შ. თაბუკაშვილი, გ. ლომიძე, ირ. აბაშიძე, ბ. ბარსეგიანი, გრ. გიორგაძე.
პასუხისმგებელი რედაქტორი ქ. მელაძე

# ათი წელი

პროლეტარულ მესამე თაობას საბჭოთა კავშირში 1922 წლამდე არ ჰქონდა თავისი ორგანიზაცია.

ჩვენმა რესპუბლიკამ უმძიმესი დღეები გადაიტანა—ყოველი მხრიდან იყო იგი გარშემორტყმული თეთრგვარდიელთა ბანდებით, რომელნიც ცდილობდენ დაეცათ და სისხლში ჩაეხჩოთ იგი. მთელი ყურადღება და ძალები მუშების, გლეხების და კომკავშირელთა მასების თავდაცვისა და რესპუბლიკის გადარჩენისაკენ იყო მიქცეული.

მაგრამ აი, დაიცალა უკანასკნელი საომარი იარაღებიც, დამთავრდა ომი, წითელი მებრძოლები დაუბრუნდენ თავიანთ ფაბრიკა-ქარხნებს, მიწებს, რკინის გზებს და ელექტროსადგურებს აღსადგენად და ასაყვავებლად.

არ შეიძლება ითქვას, თითქოს ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა 1922 წლამდე არ არსებობდა, პირიქით, იგი არსებობდა მანამდე დიდი ხნის წინ, ბავშვთა მოძრაობასთან ერთად, თვითმყრობელობის დროს.

ჯერ კიდევ თვითმყრობელობის დროს პროლეტარული ბავშვები მონაწილეობდენ თავისუფლების მოპოვებისათვის მუშათა რევოლიუციონურ ბრძოლებში.

ერთ-ერთ მაგალითად მოვიყვანთ შემდეგ ფაქტს:

1905 წლის თებერვალსა და მარტში ქალაქ მინსკში მოხდა ნოქართა გაფიცვა. გაფიცულები ყოველდღე იკრიბებოდენ და მართავდენ მიტინგს ადგილობრივ სინაგოგაში. ყაზახები დაქროდენ ფანჯრებთან მიტინგთა დასარბევად, მაგრამ ბავშვები იჩენდენ აქ საოცარ გმირობას: ისინი თავს იყრიდენ კედლებთან, ჯარს ერტყმოდენ ორატორებს და ასე იცავდენ მათ თავდასხმისაგან.

რამოდენიმე თვის შემდეგ ერთი ასეთი ახალგაზრდა რევოლიუციონერი (14 წლისა) დაეცა სადემონსტრაციო მოედანზე.



როცა დაიწყო სროლა, იგი გამოხტა შუა ადგილას და დასჭყივლა:

—ამხანაგებო, შედექით, არ დაიშალოთ!

ამდროს მას გვერდში მოხვდა ტყვია, იგი დაეცა და დალია სული.

რა ძალიან ჰგავს ეს ამბავი პიონერთა დღევანდელ ბრძოლას გერმანიაში! ახლახან ქალაქ მაინცში სამხედრო სასამართლო ასამართლებდა ტყვე კომუნისტებს. სასამართლომ სასტიკი სასჯელი გამოუტანა 54 ამხანაგს—ყველას ერთად 130 წლის ციხე.

არმიაში რევოლიუციონური მუშაობისათვის დატყვევებულ ამხანაგთა შორის იყო ერთი ნორჩი კომუნისტი, 13 წლის. მასაც არმიაში პროკლამაციების გავრცელება ბრალდებოდა. ციხეში იგი განსაკუთრებულ ტანჯვას და სასჯელს განიცდიდა, რადგანაც მან უარი განაცხადა ძმისა და ძმის ამხანაგთა გაცემაზე.

როცა სამხედრო სასამართლო ასამართლებდა ტყვე კომუნისტებს, ჩვენი პატარა ამხანაგიც გამოიძახეს დაკითხვაზე.

თავმჯდომარე ჰკითხავს—რას აკეთებდა ძმა და საიდან გაჩნდა პროკლამაციები.

მოსამართლის ამ შეკითხვაზე მან ამაყად უპასუხა:

—მე გამცემი არა ვარ და ყველას გასაგონად ვაცხადებ, რომ ციხეში ჯოხით მცემდენ.

—შენ მაგისთვის შეიძლება მიგისაჯოთ ერთი წლის ციხე!—ცოფმორეული ყვირის მოსამართლე.

მთელი საათის განმავლობაში ცდილობენ მოსამართლენი ხან მოფერებით, ხან მუქარით ბავშვის მოტყუებას, რათა მან გასცეს ძმა და ამხანაგები, მაგრამ ის ურყევია და ხელახლა უპასუხებს:

—მე არ გავცემ ამხანაგს!

სასამართლოს დარბაზში მრავალრიცხოვანი მაყურებელია და უცხოეთის პრესის წარმომადგენელი, რომელთა თვალწინაც უხერხულია პატარა კომუნისტის დაპატიმრება, ამიტომ სასამართლომ იგი გაანთავისუფლა.

შეიძლება დავასახელოთ ასეული მაგალითები, ბავშვები ამა თუ იმ



ტფილისის პიონერთა დემონსტრაცია პიონერორგანიზაციის დაარსებიდან ათი წლის თავზე



3-47
ეროვნული ბიბლიოთეკა
5584



პიონერრაზმში შესასვლელად განცხადებას სწერს

ფორმით ეხმარებოდენ პარტიის მიერ ძლევამოსილ ფარულ ბრძოლაში.

ოქტომბრის რევოლიუციის დროს მრავალი ბავში ეხმარებოდა მუშებს ბარიკადებზე ტყვია-წამლის მიზიდვით, ცნობების მიტანით და სხვა. სამოქალაქო ომის პერიოდში მრავალი პატარა მებრძოლები ორიცხებოდა წითელ არმიაში მზვერავებად და მოხალისედ.

როგორც კი ჩამოყალიბდა ნორჩი თაობის კავშირი, მის ირგვლივ იწყო დარაზმვა ბავშვთა პროლეტარულმა ნაწილმა, უმეტეს ნაწილად, კომკავშირელთა პატარა ძმებმა და კომუნისტთა შვილებმა. ასე შეიქმნა მოსკოვში და შემდეგ საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქებში ეს ორგანიზაცია.

პირველად ამ ორგანიზაციას „ნორჩ კომუნისტთა ორგანიზაცია" ეწოდებოდა 1924 4ელს ყველა ჯგუფებს, რაზმებს და ბავშვთა გაერთიანებებს ეწოდა სახელად „ნორჩი პიონერები".

ბავშვები დიდის ხალისით ეწო-

ბავშვები დიდის ხალისით ეწერებოდენ პიონერთა ორგანიზაციაში, და ორგანიზაცია სწრაფად იზრდებოდა. 1923 წელს მთელს საბჭოთა კავშირში ითვლიბოდა 4.000 პიონერი, 1924 წ.—122.000, 1925 წლის პირველი იანვრისათვის კი უკვე ითვლებოდა მილიონი პიონერი და 50.00 ოქტომბრელი.

1932 წელს ორგანიზაციის არსებობის ათი წლის თავზე ორგანიზაციას ხუთნახევარი მილიონი წევრი ჰყავს. პიონერორგანიზაციამ მრავალი გმირული და სასახელო ფურცელი დასწერა თავისი არსებობის ისტორიაში პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელობით.

პიონერ-ორგანიზაციამ აღზარდა მილიოანიანი ბავშვთა მასები და კომკავშირს გადასცა ასეული ათასი ახალგაზრდა.

პიონერთა ორგანიზაცია ატარებს უდიდეს ინტერნაციონალურ მუშაობას კაპიტალის ტყვეთა დასახმარებლად უცხოეთის ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის სასარგებლოდ.

მოიპოვა რა თავისი დიადი ბრძოლით ავტორიტეტი პიონერთაორგანიზაციამ ჩვენს ქვეყანაში, 1924 წელს მიიღო ხელმძღვანელი კომკავშირისაგან საპატიო სახელი „ნორჩი ლენინელი".

ათი წლის თავზე, პიონერთა ყოველი რაზმი, ყოველი რგოლი, ყოველ პიონერი ვალდებულია შეამოწმოს, როგორ ასრულებენ ისინი ლენინის ანდერძს სწავლის ფრონტზე, ცოდნის, კულტურის, ტექნიკის დაუფლების ფრონტზე, როგორ ატარებენ ბრძოლას სკოლაში შეგნებული დისციპლინისათვის, რა შედეგებს მიაღწია თვითეულმა რაზმმა ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცების საქმეში და უცხოეთის ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების დახმარებაში, როგორ ამაღლებენ პიონერები თავის კულტურულ-პოლიტიკურ დონეს, ამაგრებენ ქვეყნის თავდაცვას და პარქტიკულად ეხმარებიან ჩვენს ქვეყანას სოციალიზმის მშენებლობაში.

ათი წლის თავის ზეიმზე არა მარტო ზეიმი და მხიარულობაა ყოველმა რგოლმა, ყოველ ზრნრრ რ
რტო ზეიმი და მხიარულობაა, არამედ ჩვენებაც იმისა, თუ რა გააკეთა ყოველმა პიონერმა, ყოველმა რგოლმა, ყოველმა რაზმმა.

# ბრძოლის ცეცხლში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიზარდა ჩვენი სხ[illegible]
იმ დროს, როდესაც ფრონტზე ჰქუხდა
ომი საზარად,
მტრის ურდოები სისხლს ეძებდა
უკუქცეული
და ფრიალებდა ბოლშევიკურ
გმირთა მაზარა.
წითელ მეომრებს,
მრავალ ბრძოლით ახანძრებულებს,
ახალგაზრდობაც გამოჰყვა და
ზვირთად დგებოდა,
ახკომკავშირი მოარღვევდა
ბრძოლის ფართობებს
და გამარჯვების მწვერვალებზე
ირაზმებოდა.
და ასე მასთან დიდ ბრძოლებში
იშვენ ბავშები,—
რევოლიუციის გამარჯვების
მოამაგენი,
ნორჩი მებრძოლნი,
მკერდმაგარი პიონერები,
სოციალიზმის მშენებელი
ამხანაგები.
და დღეს, როდესაც საზეიმო
დღე ახლოვდება,
ათი ქუხილი,—ეს მტრებისთვის
მწარე ნაღმია,—
სოციალიზმი მიღწევებით
გვიახლოვდება,
იბრძვის და აგებს ახალ მხარეს
შრომის არმია.
ექვს მითითების შესრულებით
კუნთი დავჭიმოთ,
სტალინის სიტყვა ჩვენს გულებში
[illegible]რად დარჩება,
პიონერული პატაკების
რაზმი მოღელავს
და საკავშირო დიდ ზეიმზე
იგიც წარდგება.
პოლიტექნიზმი, საზეიმო
გამარჯვებები,—
აი რა მოგვაქვს ახალგაზრდა
ენტუზიასტებს,
ასე დავძაბოთ ფოლადურად
ნორჩი მკერდები,
გარღვევებს დავკრავთ, მტერსაც დავკრათ,
მიზანს მივაღწევთ.
ჩქარ გაქანებით გადვირბინოთ
გზა გასასვლელი,
რომ ათი წელი ქუხდეს ზარად
ყველას მკერდებში.
„სოციალიზმი დავამყაროთ
ბრძოლებით ჩქარა"—
დე, ამ მიზანმა გაიქროლოს
ყველა მკერდებში.

**ავთანდილ კაშმაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამერიკელი პიონერები ბანაკში

# პიონერორგანიზაციის მუშაობის შესახებ

## საქ. ქ. პ. (ბ) ცეკას 1932 წ. 21 აპრილის დადგენილება

**საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 1932 წ. 21 აპრილის დადგენილება.**

წარმატებებმა, რომელნიც მიღწეულ იქნენ პროლეტსახელმწიფოს მიერ სოციალისტური მშენებლობის დარგში, საბჭოთა კავშირის მუშათა და კოლმეურნეთა კულტურულმა ამაღლებამ და კეთილდღეობის განუწყვეტელმა ზრდამ უზრუნველყვეს ბავშთა მდგომარეობის და მათ შორის მუშაობის გაუმჯობესებაც.

პიონერ - ორგანიზაციამ, რომელიც წარმოადგენს ბავშთა მასობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციას და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში, თავის არსებობის ათი წლის განმავლობაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია, — ბავშვთა მილიონები პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელობით ჩაებენ პიონერ - მოძრაობის საშუალებით ახალ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გააფართოვეს თავისი საზოგადოებრივ - პოლიტიკური შეხედულებანი და შეუერთდენ სოციალიზმის აქტიურ და შეგნებულ მშენებელთა რიგებს.

მაგრამ პიონერ ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ გაშალა საკმაოდ თავისი მუშაობა ბავშთა კომუნისტურად აღზრდის დარგში.

პიონერ მუშაობის ყველაზე სუსტ ადგილს წარმოადგენს ის, რომ დღემდე ბავშთა უდიდესი აქტივობა არ არის საკმაოდ მიმართული ბავშთა კომმოძრაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანებისაკენ, რომელიც დღესდღეობით მდგომარეობს სკოლაში სწავლების თვისებისათვის ბრძოლაში, „მეცნიერებათა საფუძვლების“ დაუფლებაში და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებაში ბავშთა შორის, განსაკუთრებით კი სკოლაში, რის გარეშე შეუძლებელია მოზარდი თაობისაგან კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა წარმატებით მომზადება.

ლენინური კომკავშირი, როგორც პიონერ - ორგანიზაციის უშუალო ხელმძღვანელი, თავისი პრაქტიკული ყოველდღიური მუშაობით ერთობ სუსტ ხელმძღვანელობას უწევს მას და არ აქცევს ყურადღებას მის მუშაობას.

მოკავშირე რესპუბლიკათა განსახკომები და ჯანსახკომები და მათი ადგილობრივი ორგანოები სრულებით არა საკმაო დახმარებას უწევენ კომკავშირის პიონერ ორგანიზაციის განმტკიცებისათვის მუშაობაში ბარი, „წითელი ჯვარი“, „პროლეტტარული საზოგადოებრივობის მასობრივი ორგანიზაციები ბავშთა მეგობარი. „წითელი ჯვარი“, „პროლეტტურიზმის საზოგადოება“ და სხვ.). არა საკმაო ყურადღებით და გულდასმით აწარმოებენ მუშაობას პიონერ - რაზმების მოქმედების გაფართოებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია საბჭოთა ფიზიკური კულტურის, პროფკავშირების და ნებაყოფლობით საზოგადოებათა მუშაობა ბავშთა შორის გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარების დარგში ბავთა ჯანმრთელობის დაცვა, სპორტი, ბანაკი და სხვ.).

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად უნდა იქნეს მიჩნეული კომკავშირის, პროფესიონალური კავშირების და სახალხო განათლების ორგანოთა მუშაობა ბავშთა კომმოძრაობის ხელმძღვანელი კადრების თვისების ამაღლების დარგში, რის გამო პიონერ - ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ და საფუძვლიანად მომზადებული პრაქტიკულ მუშაკთა კადრებით.

ადგილობრივ პარტ - ორგანიზაციათა მუშაობა პიონერ - მოძრაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის ხაზით მიჩნეულ უნდა იქნეს სრულიად არასაკმაოდ.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკა საჭიროდ სთვლის პიონერ - ორგანიზაციის 10 წლის არსებობის დღესასწაული გადაქცეულ იქნეს ყველა მშრომელის ფართო, მასობრივ კამპანიად მოზარდ თაობის კომუნისტურად აღზრდის გაძლიერებისათვის.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკა, რომელიც იწონებს საქ. კომკ. ცეკას დადგენილებას პიონერ - ორგანიზაციის ათი წლის თავის ჩატარების შესახებ 1932 წ. 28 მაისიდან 1 ივლისამდე, ადგენს:

1. პიონერ - ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში დასმულ იქნას სწა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლევნისა, შრომისა და საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მუშაობისადმი სოციალისტური, დამოკიდებულების გამომუშავების ამოცანა, როგორც საკუთარ რიგებში, ისე ყველა ბავშვს შორის.

მიღწეულ უნდა იქნეს ისეთი მდგომარეობა, რომ „თვითეული პიონერი ყველგან და ყოველთვის, — სკოლაში, ოჯახში, ქუჩაში, პიონერკლუბში, პიონერ - ბანაკში და სხვ. —წარმოადგენდეს ნამდვილად მაგალითს ყველა ბავშვებისათვის".

ცეკა გადაჭრით გმობს პიონერმოძრაობის ლიკვიდაციის მემარჯვენე ოპორტუნისტულ ცდებს „სკოლასთან შეერთების" გზით და აგრეთვე" მომემარცხენო „დამახინჯებებს, რომელნიც ქადაგებენ სკოლის ფუნქციების პიონერ - მოძრაობისათვის გადაცემას, რაც წარმოადგენს „სკოლის თანდათანობით სიკვდილს", ანტილენინური თეორიის პირდაპირ გამოხატულებას.

ლენინურმა კომკავშირმა, რომელმაც ბავშთა მასებს შორის მუშაობის დროს საფუძვლად უნდა აიღოს ცენტრალური კომიტეტის დირექტივა სკოლის შესახებ, უახლოეს ვადებში უნდა დარაზმოს მიმდინარე პერიოდის ამ ცენტრალური ამოცანის გარშემო თვით ბავშების აქტივობა.

ნორჩ - პიონერთა რაზმების საზოგადოებრივი მუშაობის შინაარსის გადაჭრით გარდაქმნა გაშლილ უნდა იქნეს იმ მიმართულებით, რომ მასში ცენტრალური ადგილი დაიჭიროს ბრძოლამ სწავლების თვისებისათვის, შეგნებული დისციპლინისათვის, სკოლების პოლიტეხნიზმისათვის, ბავშვთა ფიზკულტურის განვითარებისათვის, ბავშთა დასვენების სწორი ორგანიზაციისათვის და ბავშთა მასების კომუნისტურად აღზრდის გაუმჯობესებისათვის, რაც უნდა აწარმოონ თვით ბავშვებმა კომკავშირის ხელმძღვანელობით და სასკოლო ორგანიზაციებთან მჭიდროდ დაკავშირებით: წარმოებულ უნდა იქნეს ბრძოლა ბავშვთა წრეში პროლეტარიატისათვის მიუღებელი იდეოლოგიის შეტანის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ.

საჭიროა უახლოეს ვადაში მივახწიოთ იმას, რომ თვითეული მოწაფის მიერ თავის სასწავლო ვალდებულებათა, საზოგადოებრივ - პოლიტიკურ დავალებათა და სკოლის შინაგანი წესრიგის შეგნებულად, კეთილსინდისიერად და ზუსტად დაცვა გადაიქცეს „მისი ღირსების საქმედ". ბრძოლის წარმოება ჯანსაღი ცვლისათვის უნდა გადაიქცეს საბჭოების პროლეტარული სახელმწიფოს ყველა ორგანოს, პროფკავშირების, კომკავშირის, ყველა საზოგადოების ყოველდღიური ზრუნვის საგნად. ეს ამოცანა უნდა გადაიქცეს პიონერორგანიზაციის მუშაობის შინაარსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტად.



თურქ მოსწავლეთა დემონსტრაცია სოციალისტური რევოლიუციის წლის თავზე

2. საქ. კ.პ.(ბ) ცეკა, აღნიშნავს რა პარტორგანიზაციათა უყურადღებობას ბავშვთა შორის მუშაობისადმი, წინადადებას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს ყოველ მხრივ გააძლიერონ თავისი მუშაობა ამ დარგში.

ჯანსაღი ცვლისათვის ბრძოლის წარმოება გამსჭვალულ უნდა იქნეს ლენინის მითითებით იმაზე, რომ „სწორედ მას ამ ახალგაზრდობას, მიუხედავად კომუნიზმის დამყარებისა მას კიდევ მთელის კომუნიზმისათვის ბრძოლების გადახდა და რომ ამ ბრძოლებს ის უნდა შეხვდეს ძლიერი და ჯანსაღი-- ფოლადის ნერვებით და რკინის კუნთებით.

სწორედ ამ მითითების გათვალისწიებით, კომკავშირმა, განსახკომებმა, ჯანსახკომებმა და ფიზკულტურის საბჭოებმა უახლოეს ვადებში უნდა უზრუნველყონ ბავშვთა შორის სპორტის და მასობრივ გამაჯანსაღებელი და სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გაშლა. ამ დროს საჭიროა მთელი ენერგიით ბრძოლის წარმოება საზოგადოებრივი ვალდებულებებით ბავშთა გადატვირთვის წინააღმდეგ, ვალდებულებებით წინააღმდეგ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის საკავშირო ცეკას და განსახკომის და ჯანსახკომის ორგანოთა დირექტივების და დადგენილების თანახმად.

3. ამ ამოცანის შესრულების დროს კომკავშირმა, განსახკომის, ჯანსახკომის ორგანოებმა, პროფკავშირებმა და ნებაყოფლობითმა საზოგადოებებმა მაქსიმალურად უნდა გააფართოონ პიონერთა და ბავშვებს შორის კულტურულმასობრივი მუშაობის ყველა ფორმა და საშუალება და აწარმოონ ბრძოლა მათი დასვენების და თავისუფალი დროის სწორი ორგანიზაციისათვის (მასობრივი თამაშობა ჰაერზე, ფიზკულტურული ვარჯიშობა, საკლუბო მუშაობა, რადიო მიმღების დადგმა, კოლექტიური მოსმენა ცოცხალი გაზეთების, თეატრის და კინოს მოწყობა და სხვა.) ამასთან ერთად საჭიროა აღმშენებლობითი მუშაობის არსებითად გაძლიერება რაზმებში და პიონერ-ორგანიზაციის იდეურ - პოლიტიკური დონის ამაღლება, რომლის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა ინტერნაციონალურად აღზრდას და ნაციონალური შუღლის დიდმპყრობელურ შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის შეურიგებლობის განვითარებას როგორც ბავშთა ისე მოზრდილთა შორის, დაევალოს კომკავშირს—მოაწყოს პიონერ რაზმებში სისტემატიური პოლიტიკური ინფორმაცია სოციალისტური მშენებლობის და კლასობრივი ბრძოლის უმნიშვნელოვანეს საკითხთა შესახებ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მთელს მსოფლიოში.

უნდა გაიშალოს ფართო ახსნა-განმარტების მიცემა ბავშვებისათვის პირველი ხუთწლედის შედეგების და მეორე ხუთწლედის პერსპექტივების შესახებ. უნდა მოეწყოს აგრეთვე პიონერთა და ბავშვთა მთელი მასის სისტემატიურად გაცნობა ბოლშევიკური პარტიის და ლენინური კომკავშირის ისტორიასთან, მასობრივ რევოლიუციონური მოძრაობის გმირულ მაგალითებთან და საერთა-



პიონერები სროლას სწავლობენ

შორისო მუშათა კლასის რევოლიუციონურ ბრძოლასთან.

ამ მიზნით საჭიროა რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ამ საქმეში ძველი პარტიული ამხანაგების, კომკავშირელების, სამოქალაქო ომის მონაწილეთა, შრომის გმირების და სოციალისტური მშენებლობის დამკვრელთა ჩაბმა აღმზრდელობითი მუშაობის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით (საუბრები, მოთხრობა, კითხვა, პოლიტლატარეა და სხვა).

ამასთან ერთად საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს თვითეულ რაზმში და პიონერულ რგოლში სისტემატური მუშაობის წარმოება მხატვრული ლიტერატურის, კლასიკოსების, თანამედროვე საბავშო - მეცნიერულ პოპულარულ ლიტერატურის კოლექტიური და ინდივიდუალური კითხვა, წაკითხულის კრიტიკული განხილვა, მასწავლებელთა კონსულტაცია და სხვა. ამ მიზნით ჩატარებულ უნდა იქნეს საბიბლიოთეკო საქმის ძირითადი გაუმჯობესება სკოლებში და საბავშო ლიტერატურის გამოცემა დაყენებულ უნდა იქნას სათანადო სიმაღლეზე.

ცეკა ავალებს ტეკას კულტპროპს საკავშირო კომკავშირის ცეკასთან ერთად ერთი თვის ვადაში დაამუშაოს სპეციალური ღონისძიებანი ამ დარგში და წარმოუდგინოს ის ცეკას დასამტკიცებლად.

პიონერორგანიზაციების ზრდის შემდგომ გაგრძელებასთან ერთად ქალაქად, სოფლად და ნაციონალურ რაიონებში მშრომელთა ბავშვების ხარჯზე, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ახლად მიღებულთა განმტკიცებას, მათ შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაღრმავებას და გამოცოცხლებას და რაზმების და რგოლების ორგანიზაციულ განმტკიცებას.

4. დაევალოს საკ. კომკავშირის ცეკას—დაამუშაოს სპეციალური ღონისძიებანი პიონერ-ორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის განმტკიცებისათვის, დაწყებული უჯრედით და გათავებული საკ. კომკავშირის ცეკათი; განსაკუთრებით განმტკიცებულ უნდა იქნენ ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციების სარაიონო ბიუროები და გაშლილ იქნეს მასობრივ-მეთოდიური მუშაობა მთელს ორგანიზაციებში.

დაევალოს საკ. კომკავშირის ცეკას—უახლოეს დროში დაამუშაოს „ახალი დებულება ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციების შესახებ" ბავშვებისათვის გასაგები ფორმით და წარმოადგინოს ის საკავშირო კ.პ.(ბ) ცეკას დასამტკიცებლად.

ცეკა იწონებს საკავშირო კომკავშირის ცეკას დადგენილებას პიონერ-ორგანიზაციათა კადრების განმტკიცების შესახებ და ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს უზრუნველყონ ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ხელმძღვანელ კადრების შერჩევა და ამ კადრების მომზადება.

5. ცეკა ავალებს მოკავშირე განსახკომებს და ჯანსახკომებს, ნებაყოფლობით საზოგადოებებს, პროფკავშირებს და ფიზიკური კულტურის საბჭოებს—დაამუშაონ კონკრეტულ ოპერატიული გეგმები პიონერ ორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევისა და, საერთოდ, ბავშვთა შორის მუშაობის გაუმჯობესებისათვის

მოკავშირე რესპუბლიკათა განსახკომებმა უნდა გარდაქმნან თავისი მუშაობა იმგვარად, რომ პირველდაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლობამ ფართო და უფრო მეტი უშუალო და პრაქტიკული მონაწილეობა მიიღოს პიონერ-ორგანიზაციის მუშაობაში.

მოკავშირე რესპუბლიკათა ჯანსახკომებმა უნდა შეამოწმონ [illegible] ტესის მოხდენა ბავშთათვის საექიმო სანიტარული სამსახურის გაწევის და სანიტარული განათლებისათვის წარმოებული ბრძოლის დარგში სკოლების ხაზით.

6. მოკავშირე რესპუბლიკების განსახკომებმა, კომკავშირებმა და პროფკავშირებმა ნებაყოფლობით საზოგადოებასთან ერთად უნდა დაამუშაონ ბავშვთა ტეხნიკური სადგურების და საექსკურსიო ტურისტულ ბაზების გაშლის გეგმა იმის უზრუნველყოფით, რომ თვითეულ რაიონში არსებობდეს მინიმუმი—ერთი სადგური და ერთი საექსკურსიო-ტურისტული ბაზა მაინც.

7. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა „სოიუზკინოსთან" და მოკავშირე რესპუბლიკათა განსახკომებთან ერთად უნდა გაშალონ 1933 წელს სპეციალური საბავშო კლუბების, კინოების, თეატრების, მხატვრულ აღზრდის სახელთა და კულტურისა და დასვენების საბავშო პარკების მშენებლობა იმ ანგარიშით, რომ პირველ რიგში ეს ღონისძიებები განხორციელდეს უდიდეს სამრეწველო ცენტრებში, ახალმშენებლობებზე, უაღრესად ჩამორჩენილ ნაციონალურ რაიონებში და მთლიანი კოლექტივიზაციის უმნიშვნელოვანეს რაიონებში.

8. საკავშირო პროფსაბჭოს, „სოიუზკინოს" და მოკავშირე რესპუბლიკათა განსახკომებს დაევალოს კულტურულ დაწესებულებათა (თეატრების, კინოების, კლუბების, სოცია-



ემზადებიან 10 წლის თავის შესახვედრად

ლისტური კულტურის სახლთა და სხვა). თამაშობა ბავშთათვის სამსახურის გაჭივისათვის ზუსტად დაწესებულ დღეებს და საათებში.

9. მოკავშირე რესპუბლიკების განსახკომებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვთა ორგანიზაციების დასვენების მოწყობა და გამოიყენონ ამ მიზნით სასკოლო ქსელი იმის მიღწევით, რომ სკოლამ მაქსიმალური ყურადღება მიაქციოს მთელ რიგ სკოლის გარეშე ღონისძიებათა გაშლის საქმეს.

10. ცეკა ავალებს მოკავშირე რესპუბლიკათა ჯანსახკომებს, რომ „წითელი ჯვრის“ ცეკასთან, ფიზიკური კულტურის საბჭოებთან და პროლეტარული ტურიზმის საზოგადოებასთან ერთად ყოველმხრივ გაძლიერონ პიონერთა და მოწაფეთა უზრუნველყოფა გამაჯანსაღებელი ღონისძიებებით ბანაკების, საზაფხულო მოედნების, დასასვენებელი სახლების, ბავშვთა სათხილამურო სადგურების, ბავშთა საცურაოების და საბავშო ტურიზმის მოწყობით და პიონერებისა და მოწაფეთა ამ ღონისძიებათა გარშემო გაერთიანებით.

11. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს დაეკისროს ფიზკულტურული მუშაობის პრაქტიკულად დაყენების და მისი სპეციალური კადრებით (სკოლებში, პიონერთა ბანაკებში და სხ.) უზრუნველყოფის ამოცანა.

12. მოკავშირე რესპუბლიკების განსახკომებმა და ჯანსახკომებმა კომკავშირის ცეკასთან ერთად უზრუნველყონ მშობლების მონაწილეობა ბავშვთა შორის გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩატარების საქმეში და არა მარტო სკოლის დამხმარე საბჭოების, არამედ სხვადასხვა ნებაყოფლობითი საზოგადოებათა საშუალებით.

13. თავდაცვა-ავიაქიმმა, „ავტოგზამ“, „რადიო მეგობართა საზოგადოებამ“ და სხვ. ყოველმხრივ უნდა გააფართოონ „ნორჩ მეგობართა“ წრეების ჩამოყალიბება. „ნორჩ მეგობართა“ ყველა წრე ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს პიონერრაზმებთან და აწარმოონ მუშაობა მათი უშუალო ხელმძღვანელობით. ნებაყოფლობითმა საზოგადოებებმა კი უნდა დაარსონ ბავშთა შორის მუშაობის სპეციალური სექტორები.

14. ვინაიდან სრულებით არადამაკმაყოფილებლად უნდა იქნეს მიჩნეული ბავშვთა სასპორტო ინვენტარის წარმოების მდგომარეობა, დაევალოს მსუბუქი მრეწველობის კომისარიატს და ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს—უახლოეს ვადაში გააფართოონ ეს წარმოება და მიაღწიონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. (თხილამურები, ბურთები, მოედნებისათვის და სხვა და სხვა მასობრივი თამაშობისათვის).

15. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკათა ჯანსახკომებს, სოცდაზღვევის მთავარ სამართველოს, „წითელ ჯვარს“ და „ბავშვთა მეგობართა საზოგადოებას“ დაამუშაონ სპეციალურ დასასვენებელ სახლთა და საბავშო სანატორიების მშენებლობის გეგმა იმ ანგარიშით, რომ ეს გეგმა შესრულებულ იქნეს 1933-34 წლის განმავლობაში.

16. მომმარაგებელმა ორგანოებმა 1932 წელს სავსებით უნდა უზრუნველყონ პროდუქტებით პიონერთა ბანაკები, საზაფხულო სკოლები, ბავშვთა დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები.

ბავშვთა კვების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ცეკა წინადადებას აძლევს მომარაგების სახალხო კომისარიატს და კოოპერაციას— მოაწყონ ყველა სკოლაში ცხელი საუზმეების გაცემა, გააფრთოონ ბავშვთა სასადილოების ქსელი და გაადიდონ პირველი საჭიროების პროდუქტების ბავშვებისათვის გაცემა.

17. ცეკა წინადადებას აძლევს პარტიულ კომიტეტებს:

ა) უახლოეს დროში შეამოწმონ პიონერორგანიზაციათა და ყველა იმ ორგანიზაციის მუშაობა, რომელნიც აწარმოებენ მუშაობას ბავშვთა შორის, გაითვალისწინონ ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბავშვთა კომუნისტური აღზრდის დარგში და პირველ რიგში ჩაატარონ ასეთი შემოწმება კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის ხაზით.

ბ) უზრუნველყონ კომუნისტების ფართოდ ჩაბმა ბავშვთა შორის მუშაობაში.

ცეკა ავალებს ყველა ორგანიზაციას — გაშალონ სოფლად მთელი ზემოაღნიშნული მუშაობა არავითარ შემთხვევაში არა ნაკლებ, ვიდრე ქალაქად.

# პირველი მაისი და აღდგომა

— აბა, მითხარით საჩქაროდ: ვინ ადგა თქვენში ყველაზე ადრე დღეს? ვინ? შენ? თუ შენ? ან, იქნებ, შენ?

ჰო არა! შეგიძლიათ არც მიპასუხოთ! ისედაც ვხედავ თქვენ თვალებში: თქვენ ყველანი გათენებამდე წამოცვივდით დღეს ლოგინიდან.

ან კი როგორ არ უნდა ამდგარიყვნენ დღეს ადრე: ისმის დოლის ხმა, უკრავს ბუკი, მიაბიჯებენ ასეები, ათასები... ყოველს ჭიშკარზე, ყოველ სახლზე, ხალხის ყოველი ჯგუფის თავზე ფრიალებს წითელი დროშა.

„გასწით წინ!“— უკრავს მხიარულად ბუკი.

„წიინ! სულ წიიინ! სულ წიიინ!“ —გაიძახის ბრახა-ბრუხით დოლი.

„ყველანი ერთად! ყველანი ერთად!“—შრიალებენ აფრიალებული დროშები.

ხალხი კი მიდის წინ! ხალხი კი მიდის ერთად! ხალხი კი მიდის მწკრივად ერთიმეორის გვერდით. შეხმატკბილებული სიმღერებით და ხმებით

„პი-ირ-ვე-ლი მა-ისი!“—გაჰყვირის ბუკი.

„პირრველი, პირველი, პირრველი მაისი!“—უპასუხებს მას დოლი.

„პირველი მაისი! მაისი! დიად, მაისი!“—ხმაურობენ ფართო დროშები.

მთელმა ხალხმა, რამდენიც კი უნდა იყვნენ, სულ ყველამ იცის, რომ ეს დღესასწაულია, და ეს დღესასწაულია ყველა მშრომელისთვის!

2

პირველ მაისს მუშები გამოვლენ ქუჩებში შეთანხმებულ მწკრივებად

„აი, ჩვენც ერთად ვართ!—იტყვიან ისინი—ერთად სამუშაოზე და დღესასწაულზედაც ერთად. და სანამ ჩვენ ერთად ვართ, სცადეთ ჩვენი დაძლევა!“

ერთი მეორის გვერდით მხრის სწორებითა და ფეხშეწყობით მიაბიჯებენ ისინი ლითონის საყვირის ხმით.

ისინი, ვინც აშენებდენ ქალაქებს და ამოჰქონდათ ნახშირი, აგებდენ



პიონერები ბოსტანში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქარხნებს და ამუშავებდენ მიწას, აყალიბებდენ ფოლადს, აშალაშინებდენ ხეს, მუშაობდენ დაზგასთან და ღრმად ეშვებოდენ მიწაში ლითონის საძებნად.

ისინი, ვინც ყოველდღიურად, კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე, ასრულებდენ თავის ხუთწლედს—თავისი მუშაობის უდიდეს გეგმას, რომელიც გამოანგარიშებული იყო ხუთი წლით და რომელიც სრულდებოდა წელს, მეოთხე წელს.

ისინი—მუშები.

3

ყველანი ერთად! ყველანი ერთად! ყველანი ერთად! მუშაობაში, დასვენებაზე და ბრძოლაშიაც! მოსკოვსა და ციმბირში, ყირიმში და კავკასიაში, ურალზე და კაზაკსტანში, მაგნიტოგორსკში და დნეპრომშენებლობაზე გამოვლენ მუშები სიმღერებით—დღეს პირველი მაისი!

„შეხედეთ!—იტყვის მათი რიგები მთელს ქვეყანას.—შეხედეთ, ჩვენ ერთად ვართ! და დაინახეთ რამდენი გავაკეთეთ ჩვენ ყველამ ერთად ამ მცირე ხნის განმავლობაში. ამ წელში—პირველი მაისიდან პირველ მაისამდე!“

ახალი ქალაქები და ახალი შალაროები. ათეული ქარხნები და ასეული კოლმეურნეობები. ათასობით სახლები და ათასობით მანქანები. მილიონი ცენტნერი სურნელოვან ხორბლეულისა და ტონები გადამდნარი რკინისა. რამდენი ბრძმედი ავამუშავეთ ამ წელში! რამდენი ცეხი გავხსენით ახალი სამუშაოებისათვის!

სკოლები, საავადმყოფოები, საბავშო სახლები, სამკითხველოები—ესენი გავაკეთეთ ჩვენ მით, რომ ვიყავით ყველანი ერთად. ეს გავაკეთეთ ჩვენ იმისათვის, რომ გვინდოდა ეს ჩვენ. იმისათვის, რომ ჩვენ ვაწყობთ ახალ ცხოვრებას ჩვენთვის, ჩვენი შვილებისათვის და მთელი ქვეყნის მუშებისთვის, ჩვენი ამხანაგებისთვის

უმთავრესად ეს ჩვენ გავაკეთეთ იმისათვის, რომ ჩვენ არ გვყავს არავითარი კერძო მეპატრონე და ბატონები. 1917 წლის ოქტომბერში გადმოვყარეთ ყველა ისინი ჩვენი კისრიდან. ახლა თვით ჩვენა ვართ პატრონები ჩვენს ქვეყანაში, და ლენინის პარტია—ჩვენი წინამძღოლია.

აი რისთვის არის დროშები, ბუკები, სიმღერები და ათასი მხიარული და მძლავრი ადამიანის ფეხები, ბიჯები.

პირველი მაისი მთელი ქვეყნიერების ყველა მუშის დღესასწაულია! დღესასწაული შრომის და ბრძოლისა!

„ოჰ, რა კარგია!—იტყვი შენ.—მაშ დღეს სხვა ქვეყნებშიაც ასეთი დღესასწაულია, როგორიც ჩვენთან! მაშ სხვა ქვეყნების ქალაქებშიაც აგრეთვე უკრავს ბუკი, დოლი, იცინიან ბავშები, და მორთული საბარგო ავტომობილები, ბავშებით აჭსებული, ირყევიან, ქშინავენ, როგორც სპილოები და მიდიან მგზავრთა მჭიდრო რიგებში“.

„აი, როგორი სიმხიარულეა!—ფიქრობ შენ. —ჩვენ აქ, და ისინი კი იქ! ჩვენ ვლაპარაკობთ ერთ ენაზე ისინი კი მეორეზე. ჩვენ ვეძახით ერთიმეორეს „ამხანაგო“, ისინი კი „გენოსე“ ან „კამრად“, მაგრამ ეს სულ ერთია. ჩვენ ერთი დღესასწაული გვაქვს! და ერთი სიმღერები! ერთი სიმღერები! ერთი დროშები! ერთიდა იგივე მზე ანათებს ჩვენს თავზე“!

მე ვხედავ. შენ როგორ იცინი, ტაშს უკრავ, ხტიხარ ერთ ადგილას და რაღაცას ჩასჩურჩულებ ყურში შენს ამხანაგს.

„მოიხედე!—შეძახი შენ.—ჩვენ გვინდა ვუთხრათ მათ რადიოთი, მათ, მათ ბავშებს და მათ მამებსაც, ჩვენ გვინდა გადავძახოთ მათ პირველ მაისის შესახებ, ჩვენი დღესასწაულის შესახებ. და თუ ჩვენ ვლაპარაკობთ სხვა ენაზე, ამით არა უშავს რა ისინი ისედაც მოგვიხვდებიან. ხალხი ყოველთვის მიუხვდება ერთიმეორეს, როდესაც მათ ერთიდაიგივე დღესასწაული აქვთ და ერთიდაიგივე მუშურა სიმღერა“.

4.

— იცი, ეს მართლა სინამდვილეშიაც დიდი რამ იქნებოდა: გადასძახო მათ რადიოთი „გამარჯობა“ და ცოტა ,შერეების შემდეგ გაიგონო მათი პასუხი.

მხოლოდ მჭიდროდ დახურე გაღებული ფანჯარა. გესმის, როგორ ხმაურობს მხიარული ქუჩა!

ორივე ხელით გაიკეთე შენი რა-



ათი წლის თავზე.



26 კომუნარის სახელობის ქარხნის მსროლელ პიონერ-ქალთა წრე

დიოს ყურსაცმელები და ისმინე, ისმინე.

ჯერ გაიგონებ იქიდან მხოლოდ საყვირის ხმას. რბილად გასრიალდებიან ავტომობილები სწორ გზატკეცილებზე. დაიჭყივლებს საყვირი. გაზეთის გამყიდველი ბიჭი შიგ ყურში ჩაგძახებს: „ახალი ამბები! უკანასკნელი დეპეშები! იყიდეთ გაზეთები!“

აი ხმებიც ისმინე, ისმინე მათ! ისინი ამბობენ უცხო ენაზე, მაგრამ ეს არაფერია. მეორე ყურსაცმელები მე მაქვს და მე გადაგითარგმნი სულ სიტყვა-სიტყვა. გესმის! ამას ლაპარაკობენ ბავშვები.

„რამდენი გაზეთი გაჰყიდე შენ?

„არც ერთი. შენ კი?“

„მეც არ ამიღია ჯერ არაფერი. თურმე დღეს ამ ქვეყნიერებაზე არავის არ ესაჭიროება არც ფეხსაცმელის მალამო და არც ზონრები. მე კიდევ მოვითმენდი, მაგრამ, იცი, რომ დესაც ძალიან გინდა ჭამა...“

„ერთი ლუკმა პური ხომ მაინც არა გაქვს?

„საიდან? მამაჩემი მესამე თვეა უმუშევარია. ჩვენთან გუშინ ისადილეს მხოლოდ ყველაზე უმცროსებმა. დღეს კი თუ მე არ მივიტან ფულს, ისინიც მშივრები დარჩებიან“.

„აი უკვე მერამდენემე დღეა ჩვენც ვშიმშილობთ. ამბობენ, კრიზისი არისო“.

„ამბობენ, ეს კრიზისი არისო. მხოლოდ მე არ მესმის რას ნიშნავს ეს“.

„ეს... ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენში შიმშილით ვიხოცებით“.

„ჩვენი მექარხნეები კი სიმსუქნის წინააღმდეგ წამლობენ თავიანთ თავს!“

„ჩვენი პატრონები! ისინი წვავენ პურს და ზღვაში ყრიან ყავას, რომ დარჩენილი შემდეგ ძვირად გაყიდონ. ესეც ხომ კრიზისია“.

„ესეც კრიზისია, ეს...“

**5.**

„მოიცადე!—ამბობ შენ და იხსნი ყურმილებს. როგორი-ღა დღესასწაულია ეს? ეს მშიერი ბავშვებია, და სხვა არაფერი. მე აქედანაც ვხედავ, როგორ შიათ მათ და ეძინებათ. და იცი კიდევ,—ამბობ შენ,—მე მგონია, რომ იქ არ არის ასეთი თბილი მზე, როგორიც აქ. არც ნამდვილი პირველი მაისია“.

— ისმინე შემდეგ,—გეუბნები მე.—გაიკეთე შენი ყურმილი და უსმინე! გესმის? მე მგონია, რომ მე მესმის მუსიკა. შენ კი?.. ყური დაუგდე კარგად. რა არის ეს?

„მუსიკა! მუსიკა!—გაიძახი შენ და ხტი ერთ ადგილზე.—ეს მუსიკაა! მე იქედან მესმის, როგორ ცემს დოლი! ის ჩვენი მუსიკაა! ჩვენი სიმღერა! მაგრამ რისთვის არის ის ასეთი ნელი. ის კი რაღაა, სროლა არის“? ნუთუ დღესასწაულების დროს ქუჩაში ვინმე ისვრის თოფს?“

— ჩუმად! ჩუმად! ეს პოლიცია ისვრის. ხედავ, იქ პირველი მაისი არც ისე უბრალოა. იქ ხელისუფლების სათავეში კაპიტალისტები დგანან და ისინი კრძალავენ პირველ მაისს.

ამ დღეს მუშები გროვდებიან ერთად დემონსტრაციისათვის.

„აჰა! ერთად არიან!—შეშინებული ჩურჩულებენ ბატონები ერთიმეორეში.—მართლაც რომ ჩამოგვაგდონ იმათ ჩვენი ადგილებიდან? გარეკეთ ისინი! გარეკეთ ისინი საჩქაროდ! ტყვიით, მათრახით, საპყრობილით.—სულ ერთია. ჩვენ ვიბრძოლებთ ყოველი ძალღონით: პოლიცია, ფული, ეკლესია, ჩვენ კიდევ გვაქვს საბრძოლო საშუალებები სასტიკი ბრძოლისათვისაც!“

„მაგრამ ეს ზარის ხმა საიდან არის?“ —მეკითხები შენ და უფრო მაგრად იკეთებ ყურმილს.

„საიდანაა ზარები? ეს ეკლესიაა? რა უნდა დღეს ეკლესიას? რა უნდა მას კიდევ ჩვენგან“?

„შენ კი არ იცი, რომ დღეს ეკლესია დღესასწაულობს თავის საეკლესიო დღესასწაულს? აღდგომა და პირველი მაისი დღეს შემთხვევით შეხვდა ერთმანეთს. „მოდით ჩვენთან! მოდით ჩვენთან“, — გუგუნებს დღეს ზარები ეკლესიის მაღალ სამრეკლოზე. მღვდლები და კაპიტალისტები კი თავისთვის ამბობენ:

„ჩვენ ჩავიდენთ ყოველივეს, რომ შემოვიტყუოთ ჩვენთან ეკლესიაში მუშები, რომ დავშალოთ მათი რიგები, რომ მოვსპოთ მათი დღესასწაული“!

„გეუბნებით უკანასკნელად, რომ არ მოვითმენთ არავითარ გამოსვლებს,—ლაპარაკობს თვით ყურთან ბოხი ხმა.—ნუ თუ თქვენ არ იცით, რომ ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ აღდგომას? წადით ეკლესიაში და ილოცეთ ღმერთი. წადით ეკლესიაში მღვდლები გიამბობენ ღმერთზე და მოთმინებაზე, და თქვენ თვითონაც მიხვდებით რა ბედნიერებაა ეს, რომ თქვენ გყავთ ისეთი მდიდარი კაპიტალისტები, როგორიც ჩვენ. ... რა სიკეთეა ის, რომ ჩვენ ნებას გაძლევთ იმუშაოთ ჩვენ ქარხანაში და ილოცოთ ჩვენს ეკლესიებში. უმადლეთ ღმერთს ყოველივე ამისათვის და ნუ იბრძვით ქუჩებში თქვენი სიმღერებით. და თუ არ დაგვიჯერებთ ჩვენ მხოლოდ ვანიშნებთ ჩვენს პოლიციას და მაშინ... მაშინ დაინახავთ თქვენ! ჩვენ თქვენი პატრონები ვართ, არ დაგავიწყდეთ ეს.

არ დაგავიწყდესთ, რომ ქარხნები, რომლებშიდაც თქვენ მუშაობთ,—ჩვენია.

რომ ქუჩები, რომლებზედაც თქვენ მიაბიჯებთ ჩვენია!

რომ სახლები, რომლებშიაც თქვენ გაქვთ თავშესაფარი, — ჩვენია!

რომ ეკლესიები, საითაც ჩვენ თქვენ გეძახით,—ჩვენია!

რომ პოლიცია, რომელიც თქვენ გაგრეკავთ ქუჩებიდან,—ჩვენია!

და რომ პირადათ თქვენც ჩვენი უნდა იყოთ, ჩვენი! ჩვენი!

და კაპიტალისტები რიგ-რიგობით მიდიან თავიანთ ეკლესიებში, სადაც მღვდლები ელაპარაკებიან ხალხს ღმერთისა და მოთმინებაზე.

რბილ ნოხებზე დინჯად მიაბიჯებენ კაპიტალისტები თავიანთ ადგილებისაკენ.

„ნახეთ, როგორი ლამაზი ეკლესია გვაქვს ჩვენ!—ამბობენ ისინი—სამარცხვინოა, რომ მუშებს არ უნდათ აქ მოსვლა. ისინი, რომ უჯერებდენ ჩვენს მღვდლებს, ისინი იქნებოდენ ბევრად მორჩილნი, ვიდრე ეხლა, და ჩვენც მშვიდათ ვიქნებოდით ჩვენს სახლებსა და კონტორებში“.



ტფილისის მე-80 შრომის სკოლის მოწაფეები ემზადებიან 10 წლის თავისათვის

„იმათ უნდა დაგვიჯეროն ჩვენ!"—ამბობენ მეორენი და გაჯავრებული გამოიყურებიან.

„ჩვენ მუშებს უნდა შევძლოთ ლოდინი, მორჩილება და მოთმინება".

„ეკლესია ასწავლისთ ამას, წაიყვანეთ ისინი ეკლესიაში!"

„ეკლესიაში! ეკლესიაში! ეკლესიაში!"

და კაპიტალისტები ტკბილად შესცქერიან ეკლესიის კარებზე ამოჭრილ ხის წმინდანებს.

„ნეტავ ჩვენი მუშებიც,—ფიქრობენ ისინი,—ჰგავდენ ამ წმინდანებს, ასეთ მშვიდს, ასეთ... ხისას."

„ნუ შიშობთ!—ეუბნება კაპიტალისტებს ეკლესია.—ნუ გეშინიათ! დაგვიჯერეთ ჩვენ და დაგეხმარებით ამაში. ჩვენ ვასწავლით მათ მოთმინებას, ვისი რისხვაც თქვენ ასე გათრთხობთ, ვისი ზიზღის ასე გეშინიათ.

ნუ შიშობთ! ნუ შიშობთ. ჩვენ აღვმართავთ თქვენს გულზე მოოქროულ ჩვენს ჯვრებს, და ხალხს მოეჩვენება თითქო ეს თვით ღმერთი ბრწყინავდეს იმათ თვალ წინ.

ნუ გეშინიათ! ჩვენ ვიცით სიტყვები ზეციურ სამეფოსა და საუკუნო ჯილდოზე.

მათ, ვისაც დღეს საჭმელი არ აქვთ, ამ საჩუქრის იმედით გაუადვილდებათ სიკვდილი. ნუ გეშინიათ ისინი არ იღებენ იარაღს ხელხელში. ისინი არ დაამსხვრევენ ჩვენ სარკისებურ ფანჯრებს. ისინი არ წაგართმევენ არც ქარხნებს, არც სასახლეებს, არც მამულებს! ისინი იქნებიან მომთმენნი, როგორც ყმები, და მშვიდნი, როგორც ცხვრები.

ისინი იქნებიან დამჯერნი, იმ მოსაზრებით, რომ მათ ღმერთი შეიყვარებს ამისათვის.

და თქვენც იქნებით მშვიდად თქვენსა კანტორებსა და სახლებში.

დღეს ჩვენთან ანთებული იქნება ყველაზე უფრო ბრწყინვალე ნათურები და იმღერებენ საუკეთესო ხმები. საკმევლის სუნისაგან სიამოვნებით გაუბრუვდებათ თავი„ ზარები კი დილამდე იგუგუნებენ განუწყვეტლივ.

ნუ გეშინიათ! ნუ გეშინიათ! ნუ გეშინიათ! ჩვენ დაგეხმარებით მათთან გასამკლავებლად. ეკლესია ხომ არასოდეს არ ატყუებდა კაპიტალისტებს, ის ხომ საუკეთესო თანაშემწეა მათი და მეფეების!".

„ისინი იქნებიან! ისინი იქნებიან! ისინი იქნებიან!"—გუგუნებენ დიდი ზარები.

„მომთმენნი! მომთმენნი! მომთმენნი!"—ქღარუნებენ პატარა ზარები.

კაპიტალისტები კი იღიმებიან და თაყვანასა სცემენ ხის წმინდანებს, ეკლესიის თეფშზე ყრიან ოქროს ფულებს. ერთს. კიდევ ერთს და კიდევ ძრავალს...

ეხლა კი ვნახოთ რის მოთმინებას ასწავლის ეკლესია, როგორ მოთმინებაზე ლაპარაკობენ მისი ზარები.

მტვრიან მოედანზე მზე ბრწყინავს მთელი სიმხურვალით. სახლების ჩრდილებში სძინავთ ძაღლებს. ნახევრად დანგრეული ფარდულის ქვეშ თავის საქონელთან ჩამჯდარი სთვლემს გამყიდველი. გახურებულ ტაფაზე იხრაკება ხორცი. თხელთხელი პურის ლავაშები, ერთი მეორეზე დაწყობილი, პურის დუქანში კარებთან. ეს მაისია. ესიც პირველი მაისია. მხოლოდ არა ჩვენებთან არამედ შორეულ სიამში.

სიამში მოედანზე არის ქრისტიანების ეკლესიაც. ამ ეკლესიაში დადიან ევროპიელები; ინგლისელები თეთრ ტანსაცმელში, ფრანგები, მორთული ქალები, მოკაზმული ბავშები.

დღეს პირველი მაისია, მაგრამ დღეს მათი დღესასწაულიც არის. ეკლესიის კარი ღიაა. მოედნიდან მოსჩანს სანთლის შუქი. ისმის მუსიკა სიმღერა. სწორედ ეკლესიის პირდაპირ, მისი ღია კარის პირდაპირ,—სიამელმა გლეხმა დაადგო მიწაზე ჭუჭყიანი ჩვარი, ხელი აჰკრა თავის გოგონას, თავის ქალიშვილს. სწორედ თავის ქალიშვილს.

გოგონას გამხდარი მხრები და შავი ნაწნავები აქვს. ის ცახცახებს შიშისაგან და იცქირება აქეთ-იქეთ, როგორც დამფრთხალი მხეცი.

მამა კი ძალზე მოღუნულია. არც მამისათვის არის ეს სამხიარულო, ნუ ფიქრობ, ალბად სხვანაირად არ შეიძლება, და აი, ის გაიძახის სწორედ ისე ,როგორც გამყიდველი თავის საქონელზე:

„გოგონა! იყიდეთ გოგონა! ვის სჭირდება სამუშაოდ კარგი, ჯანმრთელი გოგონა! მას შეუძლია ბავშების ძიძაობა და ნამცხვრების გამოცხობა, ხალიჩების ქსოვა და ლილოების შეღებვა. იყიდეთ გოგონა და თქვენ მუდამ გექნებათ ცივი წყალი, მთელი ტანსაცმელი და გემრიელი შეჭამადი!...

„რისთვის ჰყიდი გოგონას?—ეკითხება გლეხს ნამცხვრებისა და ხორცის გამყიდველი.—ნუ თუ შენ ის არ გეცოდება? ეს ხომ შენი შვილია. რას შვრები მაგით შენ?!".

„ეს, სულერთია, მე შიმშილით მომიკვდება,—ამბობს გლეხი, და ენა მისი ცახცახებს სიმივით.—

მე შვილი ექვსი მყავს, პური კი ორის საყოფიც არა მაქვს. ამას რა უშავს, ამას შეუძლია მუშაობა. შეიძლება ეს ვინმემ გამოკვებოს. და იმ ხუთს კი ჯერ კიდევ არ შეუძლიათ მუშაობა".

მაგრამ ის ვერ ასწრებს დაათავოს თავისი სიტყვები.

ფართოდ იღება ეკლესიის კარები. ლოცვა გათავდა. ჯერ გამოდიან ბავშები, შემდეგ—მორთული ქალები, შემდეგ — თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცები, ყველაზე ბოლოს თვით მღვდელიც.

მოგილოცავთ,—ამბობს მღვდელი და თავს უკრავს ყოველ მხარეზე.—მოგილოცავთ, მოგილოცავთ!".

და, ჯოხით ხელში, მიაბიჯებს გლეხის, მისი ბავშის და პატარ-პატარა დუქნების წინ.

„მოთმინება! მოთმინება!,—გაიძახის ის გზა და გზა და გულზე ხელს იდებს,—ღმერთი დაგაჯილდოებთ ამისათვის , იყავით მომთმენნი;



**26 კომუნართა სახელობის ქარხნის ბავშთა ბაგა**

და თქვენ შეხვალთ ზეციურ სამეფოში". და ყოველი შემთხვევისათვის მაღლა სწევს თავისი ტანსაცმელის კალთებს, რომ უცაბედათ არ დაესვაროს ბავშის წვირიან ხაფლეთებზე.

აი, ეხლა კი მითხარი, თუ რას ფიქრობ შენ ასეთ მონურ მოთმინეაზე?.

სამყეს ხიდან ჩამოდის რძისებური სქელი წვენი. ის მორბის ხის ღარიდახ, რომელიც ხის ტყავზე იყო გაკეთებული, და ავსებდა ხის ძირში დაძდგარ მძიმე კასრს.

როდესაც კასრი აივსება, მათ იღებეხ ბავშები, იდგამენ თავზე და სწრაფად, სირბილით მიაქვთ დანიშნულ ადგილზე.

სირბილი საჭიროა სწრაფად, ვინაიდან ყოველ მათგანს უთვალთვალებს ზედამხედველი. როგორც კი ცოტათი ფეხს შეახელებს, ფეხს შეაჩერებს სულის ამოსათქმელად,—ის იმ წამსვე იქ ჩნდება. და კიდევ კარგი თუ ხელი ჰკრა მარტო! ყველა იც ხობს მის ტყავის მათრახს. ყოველი დარტყმის შემდეგ წითელი ზოლი ტანზე სივდება და ამოიბურთება, ეს ყოველი დარტყმის შემდეგ. და თუ ის ათია? ან კიდევ ასია?

ბავშები თავზე მძიმე კასრ გადგმულხი, გაურბიან ამ მათრახებს.

„არ ჩამორჩე, ბრესი,—იძახის მოწინავე,—არ ჩამორჩე! ბატონმა ზედამხედველმა მოიხედა ჩვენკენ. გესმის ბრესი, გესმის?"

მაგრამ ბრესი ჩერდება და ხელს მძიმედ უშვებს თავიდან. კასრი მაინც კიდევ დგას მის თავზე. მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით. შემდეგ წუთში კასრი უკვე აგდია მიწაზე, და სამყეს თეთრი წვენი, ძვირფასი წვენი, რომლისგანაც აკეთებენ კალოშებს და ავტომობილის სალტეებს, წვრილ ნაკადათ მორბის შავ მიწაზე, და ბრესიც ეცემა პირისახით იმავე პატარა ნაკადზე.

„ადექ, ბრესი, ადექ!—ეძახის ამხანაგი და შიშისაგან კბილები უცახცახებს. — ბრესი! ბატონი ზედამხედველი გიყურებს შენ! ის შენსკენ ბრუნდება! ის მოდის!".

„მე აწი ველარ ავდგები,—ამბობს სუსტი ხმით ბრესი,—მე არასოდეს აღარ ავდგები. ტედი! მე ისე დავიღალე, ისე მეკუმშება გული, მე ვერასოდეს...."

და ბრესი დაჩუმდა სიტყვის დაუმთავრებლად.

„მოკვდა!—ყვირის ტედი ხელებ გაშვერილი.

„მკვდარია—ეთანხმება ზედამხედველი—საწყენია მხოლოდ, რომ მან დაღვარა ამდენი სამყეს წვენი! მაგრამ არა უშავს, დღის ხომ აღდგომის დღეა. ვინც დღეის დღეს კვდება, ის პირდაპირ სამოთხეში მიდის, ცაზე!".

და ზედამხედველი თავისი შარვლის ჯიბიდან იღებს სალოცავ პატარა წიგნს.

როდესაც მღვდელი ახლოს არ იმყოფება, ზედამხედველი ცვლის მას. ცოცხლებს ის ერეკება მათრახით, მკვდრებზე კი ის კითხულობს ლოცვებს.

როგორ ფიქრობ შენ? უნდა მოითმინო ეს თუ არა?

აი შენს წინ კიდევ სხვა. რუხი და ბალი ცა, ნისლი. წყლის პირისაკენ მიმავალი პატარა ქუჩა. ხიდის ციცაბი თაღი, და შეერთებულ რკინის ბურჯებთან, ნესტისაგან სველ ქვებზე, ნაგავსა და ნაყარში დაძრწიან ბავშვები. აი ინგლისი, ლონდონი.

„დღეს დღესასწაულია. დღეს აღდგომაა, დღეს ჩვენც ვისადილებთ,— ლაპარაკობს ერთი და უფერულ და ღონემიხდილ სახეს სწევს სინათლისაკენ. დედამ დღეს შემოუშვა ჩვენთან მდგმური, ვიღაც ქალი, მან ჩვენ ფული მოგვცა, ჩვენც ვიყიდით საქონლის ფაშვს და გავაკეთებთ წვენს!".

„თქვენ რა გიშავთ,—ამოიოხრებს მეორე,—თქვენ ისეთი დიდი სარეცელი გაქვთ, რომ შეგიძლიათ მოთავსდეთ მასზე ხუთივე. ჩვენ კი სარეცელი სულაც არ გვაქვს, ოთახიდან კი გარეთ გვერეკებიან, ჩვენ დღეს არ გვექნება აღდგომა. და ჩვენ ვერ ვისადილებთ ვერც დღეს და ვერც ხვალ".

„სამაგიეროთ ჩვენ მოვხვდებით ზეციურ სამეფოში, — ამბობს საქმისნად პატარა,—მღვდელმა საკვირაო სკოლაში აღგვითქვა ზეციური სამეფო, თუ ჩვენ მომთმენნი და დამჯერენი ვიქნებით".

„ნეტავ ვიცოდე, იძლევიან თუ არა საჭმელს იმ ზეციურ სამეფოში —ამოიოხრა გოგონამ და იდაყვით დაეყრდნო გაცხდარ მუხლზე. რისთვის არის, რომ როდესაც გშია და გინდა პური და ყავა, აუცილებლად უნდა მოკვდე და გახდე ფრთოსანი ანგელოზი. მე კი ვისურვებდი ვყოფილიყავ მაძღარი ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე".

„იცი თუ არა, — უჩურჩულებს პატარა ბიჭი ყურში გოგონას, — ამბობენ, რომ არის ქვეყანა, სადაც პირველი მაისი მხოლოდ პირველი მაისია, და არა აღდგომა, და სადაც აქ ძევენ ცოცხალ ბავშებს, სადაც არ არის საჭირო ხუთის ერთად, ერთ ბინძურ ლოგინში დაწოლა. და ეს ქვეყანა"... „..საბჭოთა ქვეყანაა", — სიტყვას ართმევს მას გოგონა და უქნევს თავს, — „ჰო, ვიცი, საბჭოთა ქვეყანაა". და ოხრავს. ძალიან მძიმედ ოხრავს.

— მე ვხედავ, შენ უკვე მოიხსენი ყურმილი. შენ ცხარობ, გაჯავრებული ხარ. მე ვხედავ, როგორ გეკუმშება მუშტი.

„კმარა, — გაიძახი შენ და ... მაგიდას არტყამ; — კმარა! მე ... ნდა ამის მოსმენა! იმათ აღარ უნდა ითმინონ ეს"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ ყურმილი პირთან მიგაქვს და გაიძახი.

„ჩვენ აქა ვართ! ჩვენ გვესმის! ჩვენ არასოდეს არ წავალთ ეკლესიაში! ჩვენთან! ჩვენთან! ქუჩაში! პირველი მაისის დღესასწაულზე! ეკლესია კი დაუტოვეთ კაპიტალისტებს და მათ მეგობრებს. დაე, ისინი დაყრუვდნენ თავიანთივე ზარებით! ჩვენ ჩვენ სხვანაირი მუსიკა გვაქვს და სხვა დღესასწაულიც"!

— სიმართლე გითხრა, ხიდქვეშ ბავშვები მაგ შენს ყვირილს ვერ გაიგონებენ რადიოთი ეგრე კი არ უნდა ლაპარაკი... როგორმე სხვა დროს გაიგებ, თუ როგორ. მეც დიდის სიამოვნებით გადავცემდი ამას იმათ. მე ვიცი, მე ვხედავ, თუ როგორი სურვილი გაქვს შენ უთხრა იმათ ჩვენ შესახებ, ჩვენ დღესასწაულზე, ჩვენ პირველ მაისზე, ჩვენს მზადებაზე ვ.. თი და ჩვენი მტრების წინააღმდეგ.

ნუ შიშობ! ჩვენ ვუამბობთ მათ ამის შესახებ. კიდევ უფრო კარგად უამბობენ მათ მუშათა საქმისათვის მებრძოლნი — მუშა—კომუნისტები.

ნუ შიშობ. ისინი თვითონ დაინახავენ თუ როგორი დღესასწაული უნდა აირჩიონ დღეს! ტყუილად იგუგუნებენ მორჩილებაზე ზარები. ბუკი დაძახებს მათ ბრძოლისკენ. და ისინი გაჰყვებიან იმ ბუკს; გაჰყვებიან წითელ საბრძოლო დროშებს. ახლა კი აიღე ქუდი და გაიქეც ქუჩაში. დღეს შენი ადგილი იქ არის. შენი მამისა და დედის გვერდით, და მათი ძმის— მხიარული მუშის.

„წინ, სულ წინ, სულ წინნნ"!— უკრავს დოლი და ხალხი მიდის წინ. და ხალხი მიდის ერთად. და ხალხი მიდის მჭიდრო მწკრივებით ამ ქუჩებში მზისაგან თბილი და სიმღერით შეხმატკბილებული.

თარგმანი თ. მოდებაძისა.



ნორჩი ნატურალისტი მერი აბაზაძე „მონკავშირის" კურდღლის სახკოლმეურნეობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სალამი საბჭოთა კავშირის პიონერებს

შესრულდა პიონ. ორგანიზაციის არსებობის ათი წელი. ამ ათი წლის განმავლობაში პროლეტარიატის სოციალისტურმა სამშობლომ, პროლეტარულ დიქტატურის ქვეყანამ მიაღწია ისეთ შედეგებს, რომლებმაც აღაფრთოვანეს მთელი მსოფლიოს მშრომელები; რომლებმაც გააოცეს და შეაშფოთეს ჩვენი კლასობრივი მტრები, მთელ მსოფლიოში. ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელი ბავშვები მისი არსებობის მთელი წლების მანძილზე იყვენ და არიან ამ დიდი მშენებლობის უაღრესად აქტიური მონაწილენი, სოციალიზმის მშენებლობის საქმისათვის უაღრესად აქტიური მებრძოლნი პიონერები წარმოადგენენ საუკეთესო მაგალითს მშრომელთა ყველა ბავშვებისათვის ამ სოციალისტურ მშენებლობაში, ამ დიდ შეუპოვარ ბრძოლაში ლენინის საქმისათვის. ჩვენი ქვეყნის მშრომელნი კომუნისტური პარტიის, ლენინური ცენტრალური კომიტეტის და ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით გამოვიდნენ სოციალიზმის მშენებლობის ფართო გზაზე. ჯერ კიდევ ბევრი სიძნელეა ჩვენს წინაშე აღმართული, მაგრამ ეს სიძნელენი წარსულთან შედარებით არაფერია ვინაიდან საძირკველი მტკიცედაა ჩაყრილი და საბჭოების ქვეყნის ძალები იზრდება არა დღეებით, არამედ საათობით, მისი ძლიერება შეურყეველია.

ჩვენმა ბავშვებმა უნდა იცოდენ, სოციალიზმისათვის საბჭოების ქვეყნის არა მარტო ამ გმირული ბრძოლის წარსული, არამედ საბჭოების ხელისუფლებისათვის პროლეტარიატის დიქტატურისათვის დიადი ბრძოლის წარსული, არამედ საბჭოების ხელისუფლებისათვის პროლეტარიატის დიქტატურისათვის დიადი ბრძოლის წარსულიც. ჩვენმა ბავშვებმა უნდა იცოდენ ეს წარსული, როცა ბაბუების, მამების, დედების ზურგი ჰრელდებოდა მეფის ჯალათის მათრახით სოციალიზ. საქმისათვის მებრძოლთა ათასები ადიოდენ მეფის სახრჩობელათა ეშაფოტებზე როცა ჩვენი კლასის მოწინავე ბელადთა ათასები ბორკილების ჟღარუნით მიემართებოდენ ციმბირის გზებით კატორღაში და გადასახლებაში. ეს მათ უნდა იცოდენ იმისათვის, რომ უფრო მხნედ, უფრო გაბედულად წავიდენ ჩვენი მესამე თაობა სრული გამარჯვების და მშრომელთა სრული ზეიმის გზით.

**საქ. (ბ) ც. კ. მდივანი**
**ამხ. პოსტიშევი.**



ტფილისის მე-10 შრ. სკოლა. ათი წლისთავისათვის კედლის გაზეთს ამზადებს

# საქართველოს ბავშთა კომუნისტური მოძრაობის ისტორიიდან

**(წერილი დაკავშირებულია საკავშირო პიონერ ორგანიზაციის 10 წლის თავთან, რომელიც ჩატარდება 23 მაისიდან 1 ივლისამდე)**

საქართველოს ბავშთა კომუნისტურ მოძრაობას არა აქვს დიდი ხნის ისტორია. ბავშთა კომმოძრაობის სათავეები საქართველოში 1918 წლიდან იწყება. ეს ის დროა, როდესაც საქართველოში ბატონობდა „დემოკრატიული" რესპუბლიკა. მენშევიკურ საქართველოში არსებული ბავშთა ორგანიზაციები ბევრით არაფრით განსხვავდებოდენ ბავშთა ფაშისტურ გაერთიანებებისაგან. მენშევიკურ საქართველოში ე.-წ. „სკაუტელთა" ორგანიზაცია თავის მთავარ მიზნად ისახავდა ბავშებში ეროვნულ შუღლის და შოვინიზმის ცეცხლის დანთებას. 1918 წლის მეორე ნახევრიდან „სკაუტი" იცვლის მხოლოდ გარეგან ფორმას და „შევარდენი"-ს სახელწოდებით გვევლინება. „შევარდენი" არსებითად „სკაუტის" გაგრძელება იყო, მხოლოდ უფრო ბურჟუაზიული და ნაციონალისტური ფერით. „შევარდენს" ჩვენ ვერ ვუწოდებთ ბავშთა ორგანიზაციას, რადგანაც „შევარდენი"-ს კარი ღია იყო ყველასათვის, „შევარდენში" მიიღებოდენ „ახალგაზრდები 18 წლიდან 48 წლამდე". ჩვენ შეგვიძლია აშკარად ვთქვათ, რომ „შევარდენი" უფრო ბურჟუაზიულ - ლიბერალურ და შოვინისტურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, ვიდრე ბავშთა ორგანიზაციას. „შევარდენის" საბრძოლო ლოზუნგი იყო „ფარვიდე ხალხს", „ერს", „ერის კეთილდღეობისათვის ბრძოლა იყოს შენი მიზანი" და სხვ. სინამდვილეში ამ საერთო „ხალხის" და „ერის" კეთილდღეობისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ იმალებოდა „შევარდენი"-ს აშკარა მენშევიკური ხასიათი. „შევარდენი" არ ყოფილა მხოლოდ ტანვარჯიშობის და ფიზკულტურული ორგანიზაცია, როგორც ეს გულუბრყვილო ამხანაგებს ჰგონიათ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „შევარდენი" თავის კონტრრევოლიუციონურ მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო მენშევიკების მიერ მოწყობილ ავანტიურაში, ეს ისტორიული, ფაქტია, ამის უარყოფა არავის არ შეუძლია. იბადება კითხვა: რატომ დაუშვა პარტიამ და ხელისუფლებამ „შევარდენი"-ს არსებობის შესაძლებლობა საბჭოთა პირობებში? სამოქალაქო ომების და მუდმივ ბრძოლების შემდეგ უპირველესად ყოვლისა საჭირო იყო დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლა, ამიტომ ინერციით დარჩა კიდევ კონტრრევოლიუციონურ ორგანიზაციის ნაშთი —

„შევარდენი". 1922 წელს კი მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი, „შევარდენი"-ს, „სკაუტი"-ს და რუსული „სკოლი"-ს მთლიანი ლიკვიდაციის შესახებ გამოტანილ იქნა საქ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სახკომსაბჭოს სპეციალური დადგენილება. მაგრამ შევარდენი"-ს ასეთი სასწრაფო ლიკვიდაცია არ მოხერხდა. „შევარდენმა" ნაწილობრივ შეიცვალა სახე და „წითელი შევარდენი"-ს სახით მოგვევლინა. „წითელი შევარდენი" არც პრინციპებით და არც ორგანიზაციული წყობით არსებითად არ განსხვავდებოდა წინად არსებული „შევარდენი"-საგან. „წითელმა შევარდენმა" განაგრძო „შევარდენი"-ს კონტრრევოლიუციონური საქმიანობა, იგი ბავშვებში კვლავ აღვივებდა შოვინიზმს, ანტისაბჭოთა განწყობილებებს, ეს იყო დაახლოებით 1922 წლის მიწურულში და 1923 წლის დასაწყისში. 1923 წლიდან უკვე იწყება „წითელი შევარდენი"-ს განადგურების პროცესი. „წითელი შევარდენის" ნანგრევებზე აღმოცენდა ბავშთა პროლეტარული გაერთიანების ორგანიზაცია „სპარტაკი". „სპარტაკი"-ს ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით საქართველოს კომუნისტურ პარტიას და საქ. კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს. „სპარტაკი" 1923 წლის მიწურულში უკვე საკმაოდ ძლიერ და გავლენიან ორგანიზაციას წარმოადგენს. „სპარტაკი"-ს პრინციპები თითქმის სავსებით შეესაბამებოდა ბავშთა კომუნისტურად აღზრდის პრინციპებს, მაგრამ ორგანიზაციულ სტრუქტურაში იყო მთელი რიგი გადახვევები, როგორიც, მაგ., ინდივიდუალური ჩვევების გაძლიერება, არაკოლექტიური მუშაობა და სხვ. „სპარტაკი"-ს ორგანიზაცია ძირითადში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნისტურ პრინციპებზე იყო დაფუძნებული. „სპარტაკი"-ს წესდებაში გათვალისწინებულია საზოგადოებრივ - შრომითი მუშაობა ორგანიზაციებში, კომკავშირთან შეთანხმებული მუშაობა, ბავშვებში თვითინიციატივის გაძლიერება და სხვ. „სპარტაკი"-ს ორგანიზაციის საფუძვლად მიღებული იყო ე.-წ. „სკაუტინგის" მეთოდი, რომელიც მაშინ გაბატონებულ მეთოდათ ითვლებოდა რუსეთში. „სპარტაკი"-ს შესახებ მსჯელობა იქონია კომკავშირის მე-6 ყრილობამ, რომელიც შედგა 1923 წლ. სექტემბერში. კომკავშირის მე-6 ყრილობამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საჭიროა „სპარტაკი"-ს ორგანიზაციაში კლასობრივად აღზრდის მაღალ დონეზე აყვანა, პროლეტარული ბირთვის გადიდება და კოლექტიური ჩვევების გაძლიერება ბავშვებში. კომკავშირის მე-6 ყრილობის შემდეგ ხდება გარდამწყვეტი გარდატეხა „სპარტაკი"-ს შინაორგანიზაციულ სტრუქტურაში. „სპარტაკი" გადადის თავისი განვითარების ახალ საფეხურზე. „სპარტაკ"-ს ამ რეორგანიზაციისაკენ გზა უჩვენეს 1924 წელს მენშევიკების მიერ მოწყობილი ავანტიურით ისატანტებმა, ყველა ჯურის კონტრრევოლიუციონერებმა და ერთხელ კიდევ სცადეს „სპარტაკ"-ის საწინააღმდეგო გაერთიანების დაარსება, მაგრამ კომპარტიის და კომკავშირის ენერგიული ჩარევით მენშევიკებს ამ ცდამაც უშედეგოთ ჩაუარა. „სპარტაკი" იზრდებოდა, წინ მიდიოდა შეუჩერებლივ, იგი თავის რიგებში აბამდა პროლეტარიატის ბავშების მილიონიან მასებს. მაგრამ „სპარტაკი" უკვე ველარ პასუხობდა ახალი მოთხოვნილებების მიერ დაყენებული საკითხების შესრულების საქმეს, იგი უკვე მოძველდა, მოძველდა მისი ორგანიზაციული სტრუქტურა, „სპარტაკი" კრიზისის გამოუვალ ჩიხში მოექცა. კრიზისიდან გამოსავალ საშუალებად მიჩნეულ იქნა პიონერ - ორგანიზაციის დაარსება, და მართლაც, 1925 წლიდან იწყება სრულიად ახალი ეტაპი საქ. ბავშთა კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში. 1925 წლიდან პიონერორგანიზაციას არ განუცდია დიდი ცვლილება. მხოლოდ 1930 წელს მოხდა პიონერთა მუშაობის ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურაზე გარდაქმნა და იწყება ბავშთა კომუნისტური მოძრაობის ისტორია.

**ნ. გველესიანი.**
**გ. ლომიძე.**

# შანხაის ნავსადგურში

ბიბლიოთეკა

ა

— სიუ! აქ რაღა ზიხარ? მე კი ყველგან გეძებე, ჩაპეის ქუჩებში, ხან კოუს მხარეს, — უთხრა იან-სიმ, პატარა ბიჭუნამ, გოგონას, რა შანხაის ნავსადგურში შუქურას მომიჯრებით გადაბრუნებულ ძველ ნავზე მჯდომარეს წააწყდა.

— აა შენა ხარ, იან-სი?! შენ ჩინურ ნაწილში მეძებდი, მე კი უცხოელთა სეტლმენტში, შამახის უბანში დაგხვდი, არა?! და სი-უმ ამ პასუხზე გაიღიმა, ნამტირალევი თვალები ცრემლებისაგან განტვირთა.

— შენ რომ ჩვენგან წამოსულხარ, დედაჩემი შეწუხებულა, რა ველარ უნახავარ და რა მამასაგან დავბრუნდი, წამოველ საძებნად.. აი, ბრინჯი მოგიტანე, ჭამე...

— მე ალარავინ მყავს, იან-სი... შენ-ლა თუ მიგდებ ყურს..

— ჰო, კარგი, ნუ ტირი.

ბ

— შეხე, იან-სი, რამდენი გემია, რა ლამაზები... — და სი-უმ ხელი გაუშვირა რეიდზე მდგარ ინგლისელთა, ამერიკელთა და იაპონელთა კრეისერებზე, გამნადგურებლებზე, აქეთ რომ მოეშვირათ პირდაღებული ზარბაზნები..

— ავერ, ჩვენი გემებიც, ჩინური.

— მერე და ინგლისელთა და ამერიკელთა გემები რად ჩადგნენ ჩინეთის და იაპონიელთა გემებს შუა?

— არ ვიცი.. წუხელ ძია სინ-გო ეუბნებოდა მამაჩემს, რომ მხელი შეუშალონ, რათა ერთმანეთს. არ ესროლონ ყუმბარები. იაპონელმა და ჩინელებმაო...

- რა უნდათ იაპონელებს ჩვენგან?

(იხ. მე-14 გვერდი)



პირველათ დაეუფლენ წიგნს




კაპიტალისტურ ქვეყნებში არის: ეკონომიური კრიზისი, სამუშაო ხელფასის შემცირება, გაფიცვებისა და დემონსტრაციების ზრდა, შინაური საქმეების არევ-დარევა, ეროვნული საკითხების გამწვავება და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა და ის, რაც ყველა უცხოელს ჩინეთის სიმდიდრე.

— იმიტომ დაუშინეს ყუმბარები იაპონელთა აეროპლანებმა ჩვენს უბანს. იმიტომ დაანგრიეს ჩვენი სახლი? იმიტომ მოჰკლეს დედაჩემი?— თქვა სი-უმ ქვითინით.

— ო, იაპონელთა ჯარი დაუნდობია... ისინი უშენდნენ თქვენს ახლო მყოფ ყაზარმას, სადაც ჩინელი სნაიპერებია, კარგი მსროლელი ჯარისკაცები, დაბანაკებული, და... იმათ რომ იაპონელთა შტაბს დაუშინეს იმწინებზე, ისინი ხომ ტყვიას არ აცდენენ მიზანში..

**გ**

იცი, სი-უ, იაპონელთა ხომალდებს ჩვენი სატახტო ქალაქის ნანკინისათვისაც დაუშენიათ მდინარე იან-ცზიდან, და მთავრობა ქალაქ ლოიანში გადასულა... იქ დიდი ომია, თურმე, ეხლა...

— მერე და, აქ რაღა უნდათ, იან-სი? აგერ რად დადიან ქუჩებში აი ის უცხოელთა ჯარები, მეზღვაურები? !

ესენი უცხოელთა უბანს იცავენ... აგერ ინგლისელები, ინდუსი სიპაები, ამერიკელები, ფრანგები, იტალიელები... შეხე, ბარიკადები, ტყვიამფრქვევები; აგერ იაპონელთა დესანტიც... ისინი აქეთ არ უშვებენ ჩინელებს, ლტოლვილებს ჩაპეიდან, ხანკოუდან, რომელთაც იაპონელთა ყუმბარები ანგრევენ და ცეცხლი უკიდიათ... იაპონელებმა მანჯურია დაიპყრეს, ჩინეთის სადუბანოები, და ეხლა აქ გვიტევენ! — ბრაზობს იან-სი და მუშტებს უფრო კუმშავს.

— ყველა უცხოელი ჩვენი მტერია, იან-სი? — შეეკითხა სი-უ და ცისფერი თვალები შეანათა მეგობარს.

— არა, სი-უ!.. არის, თურმე, ერთი ქვეყანა, დიდი ქვეყანა, რომელიც ჩვენი მეგობარია... ის ყოფილა შორს, ჩვენს იქითა საზოვართან, მონღოლეთისა და მანჯურიის მიჯნაზე. იქა, თურმე, დუბანები, გენერლები, მანდარინები და ბონზა კი არ არიან სათავეში, არამედ რიკშები, კულები, მუშა და გლეხები... იქ ბავშვებიც ასე უპატრონოდ კი არ არიან, არამედ პიონერებია და ოქტომბრელები, მათ კარგად უვლიან, ასწავლიან, თავისუფლად იზრდებიან... აბა დაუგდე ყური, როცა ძია სინ-გო ლაპარაკობს ხოლმე...

— რა ჰქვია იმ ქვეყანას?

— რა და... მაცა, მოვიგონო... ჰო, საბჭოეთი... საბჭოთა კავშირი..

— ო, ნეტა აქაც ასე იყოს! — ინატრა სი-უმ

— იქნება... მაგრამ სუ... დარაჯი მოდის, არ გაგვიგონოს... წამო აქეთ...

**დ**

— როდის ა?

— როდის, სიუ, და როცა აჯანყებული გლეხთა „წითელი მუშები“ და „დიდი დანები“ გაიმარჯვებენ, როცა შანხაის და სხვა ქალაქის მუშები კისერს მოუგრეხენ ამ ჩასუქებულ მექარხნეებს, უცხოელ და ჩინელ ჯალათებს, როცა განარჯვებული წითელყელსახვევიანები აქაც შემოვლენ შანსის, ხუბეის და სამხრეთ ჩინეთის სხვა მხარეებიდან, სადაც ისინი არიან ეხლა და იქაც საბჭოები ყოფილა...

— წითელყელსახვევიანები ვინღაა? — იკითხა სი-უმ გულუბრყვილოდ.

— — დაიკარგეთ აქედან!!! — სი-უს არ დაეთავებინა კითხვა, რომ ზურგზე მათრახი მოხვდა, ტკივილისაგან დაიკლაკნა, რა დარაჯი მიპარვით წაადგა თავს და დაიღრიალა.

—შა! შაა! დაჰკა!!! — ყვიროდა იან-სი, რა გარბოდა, ხელდაჭერილ სი-უს მიარბენიებდა, შედგებოდა და რიყის კენჭებს ესროდა გაცოფებულ დარაჯს.

— ეს დარაჯი ხომ ჩინელია, იან-სი, და რადა გვცემს?

ესეც ხომ უცხოელი არაა?..

— ეგეც ჩვენი მტერია, სი-უ ეგ უცხოელების ფინია; ეგ ხომ მანდარინებს, ვაჭრებს. ბურჟუებს იცავს! ისინი ხომ ჩვენი, ღარიბების, მტრებია! მაცალოს მაგან, ერთი აქაც შემოვიდენ წითელყელსახვევიანები, რომლებიც უცხოელებთან ერთად მაგათაც აი იმ ყვითელ ზღვაში გადაუძახებენ!!

— ჰო, ვინ არიან, იან-სი, წითელყელსახვევიანები?

— ვინა და წითელი ჯარისკაცები, სიპები — კომუნარები, რევოლუციონერები.. ის წითელარმიელები მოუგრეხენ მაგათ კისერს... განა მაგათ არ მოკლეს მამაშენი შარშან აქ, ნავსადგურში, როცა მაისის დილას ფეიქრები, დოკერები, რიკშები და კულები ქუჩაში გამოვიდენ წითელი დროშით და სიმღერით?! მაცალონ, ერთი ,გაიზარდოთ და შური ვიძიოთ მაგათზე... — იმუქრებოდა იან სი და მუშტებს იქნევდა.

—ო, მამა!!! — მოსწყდა სი-უს ტუჩებს და ცრემლები მძივად გადმოეკიდა ქუთუთოებზე.

**ე**

— ხა, ხა! ხა! ამ თხუნელებს არ უყურებთ?! ვის ემუქრებიან, რა უნდათ ამ უბანში?! — გადიხარხარა ვიღაც უცხოელმა ჯენტლმენმა, ჩიბუხი მოაშორა პირს იან-სის მუქარაზე, და რიკშამ ჩააქროლა გვერდზე.

— შეხე, სი-უ, უცხოელს უკვირს ჩინეთის ქალაქში ჩინელთა ყოფნა.

— ა?! — ვერ მიხვდა სი-უ, ვიდრე იან-სიმ არ აუხსნა.

სი-უ ტიროდა, იგონებდა მოსიყვარულე დედას, რომელსაც თან დასდევდა ხოლმე იაპონელთა საფეიქროში და ეჩვეოდა ქსოვას, იგონებდა მებადურ მამას, თევზებს რომ მოუტანდა ხოლმე, და ჰვითინებდა...

— ტირილს კი არა, ბრძოლას უნდა სწავლობდე, სი-უ, ახლა პატარა კი აღარა ხარ! — აძხნევებდა იან-სი, და მიჰყვებოდენ ზღვის პირს ჩაპეისკენ.

ზღვა ღელავდა, ჩქეფებს საზეში სცემდა ორ მეგობარს; ქარს იალქნები აეშვა და ზღვის ღმუილს ქშუილით ეჯიბრებოდა; ნისლი წვებოდა შორს. მუდამმზიან შანხაის ცაზე ღრუბელთა ქარავნები აება, თითქოს ცდილობენ შანხაის კამარაზე მფრენ იაპონელთა აეროპლანებს ხედვა გაუძნელონო, რომლებიც ყუმბარებს ყრიდენ ჩინ...ი ნაწილში, და ისმოდა გრიალი, აფ...ქება, ალი წითელ ენებს ათამაშებდა ეთერში, ტყვიამფრქვევთა კაკანი გამწარებულ ფუტკრებივით ბზუოდენ იაპო-



ერევანი: რკინისგზელთა ბავშვები საბავშო ბაღში

ნელი დესანტის და ჩინელი სნაიპე-რების ტყვიები.

ისმოდა კვნესა, კივილი, ზარბაზნე-ბის შორი გუგუნი..

ქალაქი ჰგავდა სამხედრო ბანაკს ჭრელი ჯარივით...

— იან-სი! აი ქაღალდები, ეს წე-ბო... ახლა შენ იცი... ფრთხილად კი შანხაის ქუჩებში პატრულები დადი-ან და... ამ სიტყვებთან ერთად კომუ-ნარმა სინ-გომ, პროკლამაციები გა-დასცა უცხოელ ჯარისადმი. აჯანყე-ბისაკენ მოწოდებით და გამყიდველ გომინდანურ მთავრობის ჩამოგდება-ზე, რომელიც ლოიანში გაიქცა და ჯარი და ხალხი მიატოვა.

— მზად ვარ, ძია! აგერა, სი-უც მიშველის.

— მე იან-სის არ მოვშორდები — დაატანა გოგონამ.

— კარგი... აბა, თქვენ იცით პატა-რა რევოლიუციონერებო... თქვენზე, როგორც პატარებზე, შეიძლება ეჭვი ვერ აიღონ... მე კი ფაბრიკისაკენ მი ვიჩქარი... გაფიცვა.... — და სინ-გომ ღიმილით თავზე ხელი გადაუსვა ბავ შვებს, გაეშურა ქუჩის მოსახვევის-კენ.

— აბა, სი-უ, იარ!

ფრთხილად გაყვენ ნავთსადგურს, მაგრამ რეიდზე მდგარ იაპონელთა კრეისერზე აყეფებულმა ზარბაზნის გრიალმა არე რომ გააყრუა ბავშვე-ბის გზის ახლოს ნაფეთქმა ყუმბარამ მიწას უბე ამოგლიჯა, შავი კვამლი სვეტად აეშვა...

— სად ხარ იან-სი? იკითხა სი-უმ, და ყუმბარით ნამდლევენ მიწის წინა-ყარის ქვეშიდან ამოძვრა..

— აგერ, აქ, სი-უ.

— ადე, რას ზიხარ წავიდეთ... რა? სისხლი? დაიჭერ?

— ვგონებ ყუმბარის ნატეხია.. ფ

— ა? — სი-უმ ხალათის კალთა შემოიხია, შეუხვია, მხარში შეუდგა.

— ნეტავი ამ მოწოდებების გაკვ-რა მომესწრო და... ძიას დავალებას ვიღა შეასრულებს?!—წუხდა იან-სი.

— მე!—მიუგო სი-უმ თამამად.

— შენ? მარტო? ჩემსავით გამოც-დილი, რომ იყო, მაშინ კი, მარა... ჩავარდები.

— ნუ გეშინიან, იან-სი, გამოვიც-დები... ფრთხილად, ჯერ სახლამდე მიგაცილო...

— აგერ ძია, ლი-ჩუ! შედგა სი-უ.

— მამა? — შეჰყვირა იან-სიმ, რა ქუჩაში იპოვა ჯარისკაცთა ალყაში მოქცეულ დაჭერილ გაფიცულ ჩი-ნელ მუშებში მამაც იცნო.

— ო, შვილო, იან-სი! რა მოგსვ-ლია?

— ძია ლი-ჩუ, იან-სი დაჭრილია — ა?

იაპონელთა ყუმბარის ნატეხით..

— რა? ოჰ. ჯალათებო!!!—გაი-წია შვილისაკენ, მაგრამ ჯარის კა-ცის მიერ მოქნეულმა თოფის კონ-დახმა თავიდან სისხლი, რომ აუშა-დრევანა, დაბარბაცდა, თვალთ დაუ-ბნელდა, ამხანაგის მხარზე დაყრდ-ნობით ფეხი ძლივს აითრია. ჯარის-კაცები ცხვრის ფარასავით მიერეკე-ბოდნენ....

მთელი შანხაის ნავთსადგურში სისხლის სუნი იდგა....

— მაცადეთ, ჯერ გავიზარდო!!!

—იმუქრებოდა იან-სი ჯარისკაცებს მუშტებს უღერავდა.

შანხაის ნავთსადგურში როდის იელვებს შურისძიება?

აბა რა იცოდნენ ამ [illegible], მა-რა ის კი იცოდნენ, რომ ჩინეთის ში-და პროვინციებში წითელყელსახვე-ვიანთა ხელში აფრიალებულ ხუთ-ქიმავარსკვლავიან სისხლის თითო-დროშებს მოუთმენლად ელოდა შან-ხაის გული...

**სეზმან ერთაწმინდელი.**

# ტემპები სკოლის ბოსტანში

„აბა, ბიჭებო,
დაჰკარით ზარი,
ერთბაშად,
მწყობრად,
ძალუმად,
მარჯვედ
დაკვრით ტემპები
ავიღოთ ჩქარი,
რომ გოჯი მიწაც
უქმად არ დაგვრჩეს“.
ასე მღერიან
პიონერები:
ნიკო, ვალიკო,
გოგი და კოსტა,
საერთო ლონით
ბრიგადელები
აწყობენ სკოლის
ეზოში ბოსტანს.
—დაჰკარით, აბა.
დე კოლექტიურ
ტემპების ცეცხლის
ალი მოგვედოს,
დაჰკარით მაგრად!
ჰა, ერთი! ორი!
დე, კოლექტიურ
ხდებოდეს
ერთ დროს!“
— შენ, ბიჭო, თედო,
ნუ რჩები უკან,
მიჰყევ საერთო
ხალისს და შრომას
შეხედე აგერ
ბრიგადელ ლუკას,
მისი ტემპები
სანიმუშოა!
— მოიტა წიგნი...
ჰა, ასე უნდა,
შენ, ჩემო ზურა,
კვალის გაყვანა,
არ ვარგა, ოდნავ
თუ გადაბრუნდდა,
ეს ბოსტანია,
და არა ყანა.
— ჰო, ასე, ასე,
სწორი ხარ, ნიკო;
განა ტყუილად
არის საცდელი,
გარეგნულადაც
ხომ უნდა იყოს
კარგი, ლამაზი
და მიმზიდველი!
მაშ, ისევ დაკვრა,
ჩქარი ტემპები,
ბიჭო ოთიკო,
გოგილო, ბეგლარ,
გაინდა ბოსტანი
დაკვირვებების
და მრავალი ცდის
საწარმოებლად.

**ნოე დაფნარელი.**



# ბავშთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები

მომავალ კოლმეურნეთა აღზრდის საქმეში, ბავშთა შორის კოლექტიური შრომის სიყვარულის ჩვევების გამომუშავების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშთა. სასოფლო - სამეურნეო კოლექტივების ქსელის კიდევ უფრო გაშლას და არსებულის ყოველმხრივად განმტკიცებას.

ბავშთა სასოფლო - სამეურნეო კოლექტივების ისტორია საქართველოში სულ 1—1 ნახევარი წლით განისაზღვრება. საქმე დღემდე წამოწყების პერიოდში იმყოფება, ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული და დამტკიცებული ასეთი კოლექტივების ორგანიზაციული სტრუქტურა და დებულება. ეს მოვლენა ერთგვარი უარყოფით დაღს ასვამს კოლექტივების ზრდას და განმტკიცებას.

ზოგიერთი ამხანაგების აზრით, ბავშთა სას. - სამ. კოლექტივების მშენებლობა „მემარცხენე" ნაბიჯია ბ. კ. ორგანიზაციაში. ამგვარად მოაზროვნე ამხანაგების საყურადღებოდ უნდა განვაცხადოთ, რომ ბავშთა სას. - სამ. კოლექტივების სწორი ხაზით მშენებლობას საერთო არაფერი აქვს „მემარცხენეობასთან", მაგრამ კოლექტივების მშენებლობის ის პრაქტიკა, რომელიც რაიონებზე საკონტროლო ციფრების მიცემის სახით გასული წლის პირველ ნახევარში წარმოებდა, აშკარად ეწინააღმდეგება ლენინური კომკავშირულ ლენინურ პიონერორგანიზაციის მუშაობაში და, ამდენად, ამ შემთხვევაში, „მემარცხენეობაც" არის. ჩვენს სადღეისო ამოცანად, ბავშთა სას.-სამ. კოლექტივების მშენებლობის საქმეში, რჩება: ვებრძოლოთ, როგორც ისეთ აზრებს, რომლის მიხედვითაც „ბ. სას.-სას. კოლექტივების მშენებლობა „მემარცხენე" ნაბიჯია ბ.კ. ორგანიზაციის მუშაობაში", აგრეთვე გადაჭრით ვებრძოლოთ საკონტროლო ციფრების მიხედვით კოლმეურნეობის მშენებლობას.

ეს კიდევ იმას არ გულისხმობს, რომ საქმე თვითდინებაზე დავაყრდნოთ ან ისეთი მუშაობა უგეგმოთ ჩავატაროთ; არა, საჭიროა მუშაობა დაიწყოს ნ.-პ. ორგანიზაციის ძირა რგოლებში, საჭიროა წინასწარი ახსნა - განმარტებითი მუშაობის ჩატარების შემდეგ თვით ბავშებმა განაცხადონ ბ. სას.-სამ. კოლექტივის ჩამოყალიბების სურვილი. ამის შემდეგ კი საჭიროა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან მოლაპარაკება და შეთანხმება, ბოლოს კი მშენებლობის გეგმის დასახვა.

ვფიქრობთ, თავიდავნე რომ იღებული ყოფილიყო კოლექტივების მშენებლობის ასეთი ხაზი, დღეს საქართველოში არსებულ 100-მდე ბავშთა სასოფლო - სამეურნეო კოლექტივებიდან 75 პროც. მაინც გაამართლებდა თავის დანიშნულებას. მაგრამ დღემდე ჩამოყალიბებული ბ. სას.-სამ. კოლექტივები, მცირედ გამონაკლისს გარდა, ვერ აწარმოებენ ისეთ მუშაობას, რომელიც ნამდვილად ხელს შეუწყობს მებრძოლ კოლმეურნეთა ახალი კადრების მარქსისტულ - ლენინური აღზრდას.

ამის მიზეზი, რომ არაფერი ვთქვათ ადგილობრივი კომკავშირული და სამეურნ. ორგანიზაციების უყურადღებობაზე სას.-სამ. კოლექტივებისადმი, ისიც არის, რომ დღემდე არ არის არც ერთი სახელმძღვანელო, არ არის დებულება, რომელიც გარკვეულ გეზს მისცემდა სოფლის მუშაკებს ხსენებულ საქმიანობის სწორი წარმართვისათვის.

ბავ. სას.-სამ. კოლექტივების მშენებლობას, ბ.კ.ო.ც. ბიუროს სასოფლო სამეურნეო სადგურთან ერთად, უნდა ხელმძღვანელობდეს კოლმეურნეობის ცენტრი, მაგრამ, საქართველოს კოლმეურნეობის ცენტრის ამ მიმართულებით დღემდე არაფერი გაუკეთებია...

კოლმეურნეობის ცენტრმა ჯერ კიდევ გასული წლის ზამთარში იკისრა დებულების დამუშავება და მისი გაფორმება, მაგრამ მან ეს ვერ შეასრულა.

მიუხედავად ამისა, ბ.კ.ო. რაიონული ბიუროები აწარმოებენ მუშაობას არსებული ბ. სას.-სამ. კოლექტივების ჩამოსაყალიბებლად და არსებულის განსამტკიცებლად. ჩამოყალიბებას ასე თუ ისე წარმატებით ასრულებენ, მაგრამ ეს ხომ ყველაფერი არ არის... სრულიად მოუგვარებელია, როგორც ახლად, აგრეთვე გასულ წელს დაარსებული კოლექტივების საკითხი.

მაგალითად, გორის რაიონში ხუთამდე ასეთი კოლექტივები არსებობს, რომელთაგან ნაწილი მხოლოდ ფორმალურად არსებობს. თვით რაიონულმა ბიურომ არ იცოდა, რომელ სოფელში რა სახის კოლექტივია.

თესვის კამპანიასთან დაკავშირებით მთელი რიგი რაიონების მიერ მიღებულია ზომები ამ მუშაობის უკეთესად წარსამართავად; ქუთაისის რაიონში ჩამოყალიბდა 6-ამდე ბავშთა სხვადასხვა სახის კოლექტივი, რომელთა მუშაობა დღითი-დღე უმჯობესდება. ასევეა მთელ რიგ სხვა რაიონებშიაც.

საჭიროა სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ ყურადღების მიქცევა ბავშთა ასეთი საქმიანობისათვის. ეს მით უმეტეს, რომ ამჟამად პარტიისა და ხელისუფლების მიერ მწვავე საკითხად არის დაყენებული მეკურდღლ. განვითარება და განვითარება და ამ საქმეში, გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, პირველხარისხოვანი როლის თამაში შეუძლია ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციას, ბავშთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს.

**გ. გოგეჯიშვილი**



მე-26 შრ. სკოლის პიონერრაზმი შა ბათობაზე. სწმენდენ ქარხნის ეზოს

# ზანგები იმპერიალიზმის უღელში

ვის არ გაუგონია ზანგების შესახებ, ვინ არ იცის, რომ იმპერიალისტების ხელში მათ შავი დღე ადგიათ, მაგრამ სრული წარმოდგენა მათი ყოფა-ცხოვრების შესახებ ბევრს კიდევ არ აქვს, და საჭიროა პიონერებიც გაეცნონ ამ საკითხს, იცოდნეს, თუ რა საშინელ წამებას განიცდიან იმპერიალისტების მიერ დამონებული ერები.

მთელ ქვეყნიერებაზე დაახლოებით 250 მილიონი ზანგია. ისინი, ეს მშრომელი შავკანიანები, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ. ზანგების დიდი უმრავლესობა ისევ აფრიკაში ცხოვრობს. 12 მილიონი ზანგია შეერთებულ შტატებში, 10 მილიონი—ვესტ-ინდოეთში და 15 მილიონი—ლათინური ამერიკის ქვეყნებში

რადგან ზანგები ასე არიან გაფანტულნი, ე.-წ. ზანგების საკითხი მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნისათვის კი არ არის საინტერესო, მას საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს; სადაც გინდა იყვნენ ეს შავკანიანები, ისინი წარმოადგენენ და ჩაგრულ და ექსპლოატირებულ მსხვერპლს.

ზანგი მუშების უფრო მეტი ექსპლოატაციის მიზნით ბურჟუაზია იყენებს რასობრივ და ეროვნულ ცრუმორწმუნეობას, ხელს უწყობს რასობრივ, ნაციონალურ ჩაგვრას. რასობრივი ჩაგვრა გამეფებულია იქაც კი, სადაც ზანგები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში.

საერთო პირობები, რომელშიც უხდება ცხოვრება და მუშაობა ზანგებს, იმპერიალიზმის ერთ-ერთ უსაზიზღრეს ფურცელს წარმოადგენს,— ეს პირობები კაპიტალისტური დამონავების და მშრომელი მასის ყვლეფის თვალსაჩინო ილიუსტრაციაა. მშრომელი ზანგების საცხოვრებო დონე თითქმის ყველგან საოცრად დაბალია, მაგრამ ამჟამად, მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისთან დაკავშირებით, ზანგების საცხოვრებო პირობები კიდევ უფრო უარესდება. ცდილობენ რა სამიურნეო კრიზისიდან გამოსავალს იმპერიალისტები, ერთის მხრით, ავიწროებენ თეთრკანიან მუშებს რაციონალიზაციით, ხელფასის დაკლებით და სამუშაო დღის გადიდებით, მეორე მხრით კი უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ზანგებს და კრიზისის სიმძიმე მათ ზურგზე გადააქვთ.

ზანგების მუშების უმრავლესობა აფრიკაში ჯერ კიდევ დაუორგანიზებელია და, ამრიგად, მუშათა კლასის ყველაზე ჩამორჩენილ ნაწილს წარმოადგენენ. ამიტომ, რადგან ისინი იმპერიალისტებს ჯეროვან წინააღმდეგობას არ უწევენ, იმპერიალისტებს იმედი აქვთ, რომ შემდგომაც განაგრძობენ მათ ექსპლოატაციას.

გარდა ამისა, ზანგი მუშების ისედაც ღატაკური საცხოვრებო დონის დაწევას შემდგომი უფრო ფართე მიზანი აქვს: კაპიტალისტებს სურთ, რამდენადაც შესაძლო იქნება, თეთრკანიანი მუშების ძვირი შრომა შავკანიანთა იაფი შრომით შეცვალონ და აიძულონ თეთრკანიანი მუშები დასჯერდნენ შავკანიანის და კოლონიის მუშების ხელფასს, თანაც ცდილობენ ეს მუშები ერთმანეთს გადაკიდონ, მათ შორის შუღლი ჩამოაგდონ.

იმპერიალისტები ამ ტაქტიკას ხმარობენ მუშათა კლასის დეზორგანიზაციისათვის და კიდევაც აღწევენ მიზანს, მაგრამ ეს ტაქტიკა უკვე მათ საწინააღმდეგოდ მოქმედობს.

მშრომელი ზანგები, თავისი საშინელი მდგომარეობით სასოწარკვეთილებამდე მისულნი, უკვე იღვიძებენ. მათ შორის უფრო და უფრო ხშირდება არეულობა, აჯანყება, ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვები. 1930 წლის ივლისში ჰამბურგში შედგა აფრიკის, შეერთებული შტატების, ლათინური ამერიკის და ვესტ-ინდოეთის ზანგი მუშების კონფერენცია, რომლის მიზანი იყო მშრომელი ზანგების დაქსასულ რევოლიუციონურ ძალთა გაერთიანება, მათი კლასობრივი ორგანიზაციების განმტკიცება და გაფართოება.



პიონერები სწავლობენ შაშხანას

ეს იყო ზანგი მუშების პირველი საერთაშორისო კონფერენცია. ამ კონფერენციაზე ზანგების დეპუტატები მსჯელოდენ არა მხოლოდ პროფკავშირულ საკითხზე, არამედ თავის პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობაზეც (მაგ. ლინჩის კანონით დასჯის და იძულების მუშაობას წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა).

დასასრულ კონფერენციამ გამოიმუშავა და მიიღო მოქმედების რევოლიუციონური პროგრამა, რომლის მიხედვითაც მთელი მსოფლიოს მშრომელმა ზანგებმა უნდა მოახდინონ ძალების მობილიზაცია, თეთრკანიან მუშებთან ერთად მედგრად შეებრძოლონ იმპერიალის-



ტფილისი. საექიმო დახმარება რკინისგზელთა საბავშო კერაში

ტებს და მათ სოციალ-ფაშისტ ლაქიებს.

იმისთვის, რომ გავიგოთ ის სიძნელები, რომლების გადალახვა მუდამ უხდებათ ზანგ მუშებს და გლეხებს თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლაში, საჭიროა გავეცნოთ იმ პირობებს, რომლებშიც უხდებათ მათ ცხოვრება აფრიკაში, ამერიკაში და ვესტ-ინდოეთში.

### 1. აფრიკა

აფრიკაში გაბატონებულ ძალას წარმოადგენს ინგლისის იმპერიალიზმი. იმპერიალისტური მტაცებლები არიან სამხრეთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ აფრიკაში მცხოვრები 100 მილიონზე მეტი შავი მშრომელის სიცოცხლის სრული ბატონ-პატრონი.

საფრანგეთს, ბელგიას, პორტუგალიას, ესპანიას და იტალიას აქვთ კოლონიები აფრიკაში.

სამხრეთში განსაკუთრებით მის იმ ნაწილში, რომელიც შეადგენს სამხრეთ აფრიკის, კავშირს, ინგლისელ და სხვ. მმართველ კლასებს ადგილობრივი მოსახლეობა საშინლად ჰყავთ დამონავებული.

სამხრეთ აფრიკა არის აფრიკის მატერიკის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ნაწილი. აქ არის აუარებელი მიწისქვეშა სიმდიდრე და ნოყიერ მიწა. ამ მიწების ხელში ჩასაგდებათ, აქ მოკალათებულმა ევროპიელმა კაპიტალისტებმა საშინელი გადასახადი დაადვეს ადგილობრივ მოსახლეობას.

იმპერიალისტური ყვლეფის ეს სისტემა არა თუ აძლევს საშუალებას კაპიტალისტებს შეიძინონ მიწები, არამედ უზრუნველყოფს მათ პლანტაციებს, მაღაროებს, რკინის გზებს და მრეწველობის სხვა ძირითად სახეებს იაფფასიანი შავი მუშების საკმაო რაოდენობით. ამ მტაცებლური პოლიტიკის შედეგი ის არის, რომ სამხრეთ აფრიკის თითქმის ყველა სავარგისო მიწა ჩამოერთვა ადგილობრივ მოსახლეობას და გადაეცა იქ დასახლებულ თეთრკანიანებს ანდა უცხოეთის კომპანიებს. რაც შეეხება მწირ მიწებს, ისინი გამოყოფილია ე.-წ. რეზერვებად და იქ უნდა იცხოვროს ადგილობრივმა მოსახლეობამ. ეს პოლიტიკა ისე ულმობლად ტარდება, რომ ამჟამად დარჩა დაახლოვებით 6 მილიონამდე ადგილობრივი მცხოვრები, 40 მილიონ აკრ*) ყველაზე უფრო მწირ მიწაზე დასახლებული, მაშინ, როდესაც 1 ნახევ. მილიონ თეთრკანიანს უჭირავს 2600 მილიონი აკრი ყველაზე უფრო ნოყიერი მიწა. მიწის ასეთი განაწილების გამო ზანგებს არ შეუძლიათ მიწადმოქმედების თავის გამოკვება, იძულებული ხდებიან მიანებონ თავი თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს და სამუშაო ეძებონ თეთრკანიან ფერმერებთან, აგრეთვე ოქროს სარეწაოებზე და ალმასის მაღაროებში.

*) აკრი დაახლოებით 0,4 ჰექტარს უდრის.

ფერმებზე სოფლის მეურნეობის მუშები ფაქტიურად მონობის მდგომარეობაში არიან, ორ მილიონამდე ასეთი საცოდავი მშრომელი არის მიჯაჭული სამხრ.-აფრიკის ფერმების მიწაზე. მათ გარდა არის კიდევ მრავალი მილიონი ზანგი, რომელთაც არც ამ რეზერვების ფარგლებში შეუძლიათ მოწყობა.

ზანგთა მოსახლეობის ეს ნაწილი იძულებულია იჯარით აიღოს მიწა და დასახლდეს თეთრკანიანი მემამულეების მიწაზე.

მიწის პატარა ნაკვეთში მოიჯარადრემ საშინელი იჯარა უნდა მისცეს მემამულეს. თუ ზანგს არ შეუძლი ფულის მიცემა, მან მთელი თავისი ოჯახით ნახევარი წელიწადი უფასოდ უნდა იმუშაოს მემამულისათვის. რაგინდ ცუდად ეპყრობოდეს და საშინელ ექსპლოატაციას უწევდეს მემამულე, ზანგს აარა აქვს უფლება თავი მიანებოს ფერმას, ვინაიდან ზანგების შესახებ სამხრეთ აფრიკაში გამოცემულია „კანონი ბატონისა და მოჯამაგირის შესახებ“. ამ კანონის თანახმად, სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, თუ კი ზანგი მუშა გაიფიცება ან დაარღვევს კონტრაქტს, თეთრკანიან კაპიტალისტთან დადებულს. გარდა ამისა, ამ კანონის თანახმად, შრომისუნარიანი ყველა ზანგი ვალდებულია იმუშაოს ევროპიელისათვის წელიწადში არა ნაკლები 50 დღისა.

გარდა ფერმებისა, ზანგებს საშინელ ექსპლოატაციას უწევენ მაღაროებში, რკინის გზაზე და მრეწველობის სხვა ძირითად დარგებში. სადაც ერეკებიან მათ თეთრკანიანი ექსპლოატატორები საშინელი გადასახადების, სპეციალური კანონები და პოლიციური ზომების მთელი სისტემით.

მუშების აუტანელი პირობების გამო, ზანგები მუდამ გარბიან ქალაქიდან სოფლებსა და რეზერვებში და პირიქით. ადგილობრივი მუშები, როგორც კი შეაგროვებენ იმდენს, რომ შეეძლებათ გაისტუმრონ გადასახადების ამკრეფი, უეჭველად ისევ თავის სოფელში ბრუნდებიან.

„კანონი ბატონისა და მოჯამაგირის შესახებ“ მრეწველობაში მომუშავე ზანგზეც ვრცელდება. მუშავე ზანგებზეც ვრ[illegible] თუ ზანგი გაექცევა ბატონს, რომელიც მას ისე ეპყრობა როგორც პირუტყვს, მას არსად არ შეუძლია წასვლა: ყველგან მოსთხოვენ პასპორტს, რომელიც მოწმობს, რომ ის დამაკმაყოფილებლად მუშაობდა ევროპიელთან, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩასთვლიან გამოპარულად, დაიჭერენ და ძველ ბატონს დაუბრუნებენ, ან აიძულებენ მეორე მრეწველთან იმუშაოს. იმ კანონებს, რომლებიც აწესრიგებენ ზანგების გადასვლა-გადმოსვლას სამხრეთ აფრიკაში „პასპორტების კანონები“ ეწოდება.

(გაგრძელება იქნება)



მე-43 შრ. სკოლა. ვოლეიბოლის თამაშის დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსკოვის პიონერები კულტურისა და დასასვენებელ ბაღში

# პირველი მაისი ბრძოლის დღესასწაულია

პირველი მაისი ბრძოლის დღესასწაულია. ორმოცდასამი წლის წინ ცარიზმის რუსეთის მუშებმა ეს დღე დღე საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობისა, პირველად საიდუმლოდ იდღესასწაულეს,—იდღესასწაულეს მე2 ინტერნაციონალის მითითებით, რომელიც მაშინ თავის პოლიტიკური მოღვაწეობის გარიჟრაჟზე, კიდევ ითვლებოდა საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონურ ინტერნაციონალად.

პირველი მაისობა შემოღებული იყო როგორც შურისმაძიებელთა მებრძოლი დემონსტრაციის დღე; საერთაშორისო პროლეტარიატის ძლევამოსილი დღესასწაულისა.

ქ. ჩიკაგოს უდიდესი სასაკლაოები მუშების გმირული შეთქმულებისა და 1887 წ. 1 მაისის გაფიცულთა ავაზაკურად დახვრეტის სახსოვრად ეს დღე იქნა ამორჩეული. ეს იყო ორმოცდახუთი წლის წინ. ამისათვის ამხ. ლენინი საპირველმაისო დღესასწაულისათვის მიძღვნილ პროკლამაციაში წერია:

„ყოველწლიურ პირველი მაისის წინ ჩვენი მტრები განიცდიან ძრწოლას, დაწყებულ წვრილი მექარხნეებიდან, დამთავრებული უძლიერესი მეფეებით. ისინი გრძნობენ, რომ ყოველწლიურად პირველი მაისის დღე სასწაული მუშათა კალასის გასინჯვა და მანევრებია. ეს—შემოკვრაა ნაჯახის, რომელიც ჰკრის შტოს, რომელზედაც ისენი სხედან, ეს ჩაქუჩის ჯახაჯუხია, რომელიც მათ კუბოს უჭედავს სახურავს“.

მას შემდეგ, რაც ამხ. ლენინის მიერ ეს სიტყვები იყო ნათქვამი, გავიდა 31 წელი. მას შემდეგ ყოველწლიურად უფრო მრისხანედ და მრისხანედ, უფრო ნათლად და ნათლად უფრო დამაყრუებელი და სულ უფრო საშიში მბრგვინავი შემოკვრაა ნაჯახის და ჩაქუჩის ჯახაჯუხი.

ნაჯახმოღერილნი მშრომელთა მილიონები, ყოველწლიურად უფრო და უფრო ცდილობენ განამტკიცონ თავის დღესასწაული მუშათა კლასის მტრები—ცდილობენ გატეხონ მუშათა კლასის მებრძოლი დასაყრდენი და მათი მზად ყოფნა, ძალზე ცდილობენ ისინი გადააქციონ პირველი მაისი მხარულ გმაოფენის და სეირნობის დღედ, მდელოზე მშვიდობიანი საუზმისა, მაგრამ ამაოდ.

უმუშევართა რიცხვი დასავლეთში ათ მილიონამდი აღწევს. უმუშევრებს არა აქვთ არავითარი საშუალება არამც თუ ისაუზმონ მზით განათებულ მწვანე-მდელოზე, პირიქით, ისინი საზოგადოთ კვირაობით არ სადილობენ, თავის კლასობრივ გაზაფხულს „ისინი თვითონ აკეთებენ“,



ტრაპიზონი. თურქმოსწავლეთა დემონსტრაცია თურქეთის რევოლიუციის წლის თავზე

აკითებენ მას ქუჩაში გამოსვლით, ქუჩის დაპყრობით, პოლიციასთან ხელჩართული ირაზმებიან კომპარტიის რევოლიუციონური პროლეტარიატის ორგანიზაციის დროშის ქვეშ.

საპირველმაისო დემონსტრაციების მეტად დიდი მნიშვნელობა ისაა, რომ აჩვენოს თავისი სიძლიერე და საერთაშორისო რევოლიუციური ბრძოლისათვის მზადყოფნა. საპირველმაისო დათვალიერება—ცოცხალი დიაგრამაა ყველა ქვეყნის პროლეტარებას კლასობრივი და თვითშეგნების ზრდისა.

გასულ წელს ბერლინის ორასიათასი პროლეტარი გამოვიდა ქუჩებში, რომ ხმამაღლა გამოეთქვა თავისი პროტესტი მსოფლიო ომით დამუქრების წინააღმდეგ. ეს იყო მრისხანე დემონსტრაცია იმპერიალისტური ომის მსხვერპლთა, იმ ჯანსაღი ხალხის, რომლებიც გახდენ ინვალიდებად კაპიტალის წყალობით. ისინი მიდიოდენ მოჭრილი ხელების ქნევით ჯოხებზე დაყრდნობილნი. ეტლებით მიმავალთ თან მოჰქონდათ პლაკატები. წარწერები პლაკატებზე გაიძახოდენ მასზე, რომ იმპერიალისტური ომი გადაქცეული იქნება სამოქალაქო ომად.

1 მაისს ბერლინის ყველა საწარმო დაუქმებული იყო. ქუჩებში დემონსტრაციების კოლონას კოლონა მისდევდა.

1 მაისს მადრიდის უმუშევრებმა ნაცარტუტათ აქციეს სასურსათო მაღაზიების ვიტრინები, ვარშავის ქუჩებში დემონსტრაციების კოლონებს პოლიცია ყუმბარებით შეხვდა. ყუმბარებში მოთავსებული იყო მახრჩობი-გაზები. ნიუ-იორკში 150 ათას მშრომელი — ჩინელები ამერიკელები, ზანგები, ინდოელები, გარმანელები და იაპონელები—გაემურენ პირდაპირ ბურჟუაზიის საცხოვრებელი ბინებისაკენ. ნიუ-იორკის ქალაქის თავი იუნერი სასწრაფოდ გაიქცა ქალაქიდან. „ეს იყო ყველაზე დიდი დემონსტრაცია, რომელიც ოდესმე სლაც თუ ნახავს ნიუ-იორკს — წერდა ბურჟუაზიული პრესა.

ახლანდელ რუმინელ მეფეს 1 მაისის დღეს, გაზაფხულის დღესასწაულისა, მოეწადინა თავის სატახტო ქალაქში წასვლა. რუმინეთის მთავრობამ სთხოვა მას შეეკავებინა თავი და არ წამოსულიყო, რადგან „ამ დღეს ქუჩებში იქნება დიდძალი ხალხი“. მეფე დარჩა პარიზში, მაგრამ ვერც ამან იხსნა ის. პარიზის 300 ათასმა პროლეტარმა ზრიალით გააღეს ქარხნის კარები და, მიატოვეს რა დაზგები, გამოვიდენ ქუჩებში.

საფრანგეთის ქალაქ ვალსიენში 43 ქვეითი ლეგიონი მიესალმა რევოლიუციონურ მუშებს ძახილით:

გაუმარჯოს წითელ არმიას, გაუმარჯოს მუშების, გლეხების და ჯარის კაცთა კავშირს“!

ამ დღეს პარიზში რუმინეთის მეფე მოწყენილად გრძნობდა თავს. მოწყენილად გრძნობად თავს ყველა კაპიტალისტური ქვეყნების მტაცებლებიც. წელს მთელი ქვეყნის მუშათა კლასი პირველ მაისს ძალთა დაჭიმვის არა ჩვეულებრივ პირობებში ხდება. მარტო გასულ წლის რევოლიუციონური დემონსტრაციების დროს მოკლულ და დაჭრილ იქნა 200 ათას კაცზე მეტი. ბურჟუაზიის კლასობრივმა სასამართლოებმა ... ვდილით დასჯა მიუსაჯა ... კაცს, 300 ათასზე მეტი პოლიტიკური პატიმარი იტანჯება ციხეებში.

ისინი არ სუნთქავენ სუფთა გაზაფხულის ჰაერს, ისინი ვერ ხედავენ გაზაფხულის მტრედის ფერ ცას მაგრამ დღესასწაულობენ 1 მაისის დღეს, დღესასწაულს ბრძოლისას და გამარჯვებისას. „რემედას““-ს კაპიტალის ამ პატიმრებთან დაჭერილი აქვს მჭიდრო კავშირი. მას მოაქვს ცნობები ჩვენამდეც მასზე. „რემედასი“-ს ყრილობაზე ერთი დელეგატთაგანი ლაპარაკობდა: „ჩაკო“ ჩრდილოეთ ამერიკის ინდოველებსაც კი სამხრეთ ამერიკაში საუცხოვოდ ესმით სიტყვა „რემედას“.

მშრომელების საერთაშორისო კლასობრივი სოლიდარობის ეს დღესასწაული მჭიდრო კლასობრივი შეკავშირება კაპიტალისტური ტყვეობის გარეშე მყოფ მებრძოლთა და მათი, ვინც ციხეებშია მომწყვდეული, კლასობრივ ბრძოლებში მონაწილეობისათვის. ეს გარემოება კი საპირველმაისო დემონსტრაციებს კაპიტალისტურ ქვეყნებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს.

საპირველმაისო დემონსტრაციების მნიშვნელობას უცხოეთში კიდევ უფრო ის გარემოება აძლიერებს, რომ მთელ მსოფლიოზე ახალი იმპერიალისტური ომის ღრუბელია გადაფარებული. ეს ღრუბელი დიდი სისწრაფით მოჰქრის საბჭოთა კავშირის საზღვრების მიმართულებით.

ომში პირველ რიგში დასახულია ბრძოლა იმპერიალისტურ ომების და ...ტისაბჭოთა ...ლოკვენციის ს...შიშროების წინააღმდეგ.

ამ დემონსტრაციებში უმთავრესად თავის ადგილს დაიჭერს ახალგაზრდობა და პიონერები. კაპიტალისტური ქვეყნების სატახტო ქალაქების ქუჩებში მსოფლიო პროლეტარიატის მიერ გამართულ მებრძოლ საპირველმაისო დამონსტრაციაში საერთაშორისო პირობები ააშკარავებდენ თავის მზად ყოფნას საბჭოთა კავშირის დასაცავად. ყოველთვის პირველ რიგში ყოფნით ისინი ყოველწუთში მზად არიან თაის მამებისაგან წითელი დროშის მისაღებად.

# პიონერული პრესა



აშხაბადის პოლიტექნიკუმში ფიზკულტურის გაკვეთილი

მუშათა კომუნისტურ ორგანიზაციას თავისი არსებობის ათი წელი შეუსრულდა. ათი წლის მანძილზე ჩვენი მესამე თაობა პარტიისა და კომკავშირთან ერთად დაუღალავი ენერგიით იბრძოდა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. არც ერთ დროს, არც ერთი ქვეყნის მოზარდთაობას არ ჰქონია იმოდენა ენტუზიაზმი და გატაცება, როგორც ჩვენს პიონერულ მასებს. პიონერიც როგორც მისი მამა და ძმა, ყოველდღიური ბრძოლების ურყევი არმიელია იგი იბრძვის წარმოების ფრონტზე, ახალი ყოფა-ცხოვრების შექმნისათვის, აწარმოებს განუწყვეტელ შეტევას კულტურული რევოლიუციის სიმაღლეებისაკენ, ჩაბმულია მშრომელთა მასებში, მათ ყოველდღიური საწარმოო ცხოვრებაში და იბრძვის ხუთწლედის ოთხ წელში შესრულებისათვის.

სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენი პარტ-ორგანიზაციები მხარში უდგანან ჩვენს კოლექტივებს. პიონერთა ბრიგადები კოლმეურნე გლეხობის საუკეთესო დამხმარე რაზმეულია, არც ერთი მასობრივი სამეურნეო კამპანია არ ჩატარებულა და არ ტარდება პიონერორგანიზაციების მონაწილეობის გარეშე. პარტიის გენერალური ხაზის გარშემო დარაზმული ამოდენი კომკავშირული და პიონერთა მასები ბოლშევიკურად იბრძვიან ხუთწლედის გამარჯვებით დამთავრებისათვის. ისინი გასულან მინდვრებში, ქარხნებში, [illegible]ებში, სოფლად და ქალაქად.

პიონერული პრესა სოციალიზმის მშენებლობის დღეებში ჩაისახა და გაიზარდა. იგი აქტიური ამსახველია ჩვენი მიღწევების და მთელი პიონერორგანიზაციის მუშაობის.

ხუთ მაისს მთელი საბჭოთა კავშირი დღესასწაულობს ბეჭდვითი სიტყვის დღეს, რევოლიუციონურ პრესას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი „პრავდა“ მისი არალეგალობიდან დაწყებული დღემდე. არსებობის ათეულ [illegible] [illegible]დლის. [illegible] უკვე შეუსრულ[illegible] და ოცი წელი; არალეგალურ პირობებში ბრძოლის პერიოდი იყო ბოლშევიკური პრესის გამობრძმედის პერიოდი. რევოლიუციის შემდეგ ბოლშევიკური პრესა გახდა სოციალიზმის მშენებელთა ხელმძღვანელ ტრიბუნად და ამ ხნის განმავლობაში ორ ფრონტზე განუწყვეტელი ბრძოლით მიილტვის წინ.

საბავშო ჟურნალების და გაზეთების არსებობა პიონერული პრესის ფურცლებით არ იწყება. ათეული წლის წინად გამოვიდა ჩვენს ქვეყანაში საბავშო ჟურნალები. ამ ათეული წლების განმავლობაში არსებული საბავშო პრესა აუცილებლად ემსახურებოდა ბავშთა იმგვარად აღზრდის საქმეს, როგორც ესაჭიროებოდა არსებულ წყობილებას. საბავშო ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების ფურცლებიდან პატარაობიდანვე უნერგავენ მოზარდ თაობას ნაციონალისტურ შოვინისტურ იდეებს, ზრდიდენ ბავშში რელიგიურ გრძნობებს. რელიგია, ეს „კაცობრიობის ბანგი“ დიდი დოზით ეძლეოდა ბავშს, რომ მისაგან თავიდანვე აღზრდილიყო სარწმუნოებრივი ფანატიკოსი, ერთგული მონა-მორჩილი „ღმერთის, მეფის და სამშობლოსი“.

[illegible]ულებ[illegible] და სამღვდელოების ამგვარი პოლიტიკა მათთვის საჭირო ნაყოფს იღებდა. ჟურნალ-გაზეთები და, საერთოდ, საბავშო პრესა დიდ სამსახურს უწევდა მათ ამ საქმის მოგვარებაში.

ჩვენი საბავშო ჟურნალებიც ამისთვის იყო გამოყენებული.

საბავშო მოთხრობებში, ლექსებში, წერილებში, ზღაპრებში აწვდიდენ ბავშებს რელიგიურ, ნაციონალისტურ თვითმპყრობელურ [illegible]ებს, მით იყო გაჟღენთილი საბავშო პრესა.

ოქტომბრის დიდი რევოლიუციისა და საქართველოში საბჭოების გამარჯვების შემდეგ ძირფესვიანად შე



აბრეშუმის საქსოვ ქარხნის პიონერთა კოლექტივი ათი წლის თავზე

[illegible] ბეჭდვის საქმეც. ბეჭდვითი სიტყვის ფურცლები, კლასობრივი ბრძოლის ეს ბასრი იარაღი, პროლეტარიატმა აიღო ხელში და მთელის სიმახვილით მიმართა იგი ძველი ყოფისა და მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ.

განახლებული პრესის ფურცლებზე დაინახეს მილიონიანმა მასებმა მთელი ის ბოროტება, რომელიც პროლეტარიატის საზიანოდ ხდებოდა ოქტომბრის დიდი რევოლუციის აღსრულებამდე. განახლებული პრესის ფურცლებზე ხედავენ მასები, როგორც სარკეში, თუ როგორ აშენებს პროლეტარიატი ახალ ქვეყანას. განახლებული პრესა იბრძვის ორ ფრონტზე და ბოლშევიკურად ემსახურება პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების საქმეს. იმ დიდი მოძრაობას, რომელსაც ბავშთა კომუნისტური მოძრაობა ეწოდება და რომელიც დღეს, პროლეტარიატის დიქტატურის დროს, გადაიქცა მშენებლობის ენტუზიასტთა მოძრაობად, მხოლოდ რევოლუციის შემდეგ მიეცა შესაძლებლობა ჰქონოდა თავისი ბეჭდვითი ფურცლები, ჟურნალები და გაზეთები.

ჩვენს ქვეყანაშიც საფუძველი ეყრება პიონერულ პრესას.

უკვე მეექვსე წელია, რაც ჩვენს პიონერ - მკითხველებს აქვთ საკუთარი ორგანო ჟურნალი „პიონერი“.

ჩვენ აქ გვაქვს განზრახვა ჯამი გაუკეთოთ იმ მუშაობას, რომელიც ამ ხნის განვალობაში ჩაატარა ჟურნალმა, მაგრამ ბავშთა კომორგანიზაციის არსებობის ათ წელთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ის როლი, რომელიც დაკისრებული აქვს პიონერულ პრესას და კერძოდ ჩვენს ჟურნალსაც.

პიონერულმა პრესამ უნდა უჩვენოს ფართე მასებს ის მიღწევები, რომელიც გააჩნია პიონერ - ორგანიზაციას და მის ცალკეულ რგოლებს. მან უნდა მისცეს თავისი ფურცლები დაწინაურებული რგოლის მუშაობის გაშუქებას მაგალითის აღებისათვის და გამოცდილებათა გაზიარების მიზნით.

პიონერული პრესა ვალდებულია გამოიტანოს სააშკარაოზე და ბოლშევიკური კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს ყოველგვარი ნაკლი ორგანიზაციის შიგნით,—ამით პრესა ეხმარება ორგანიზაციას ნაკლისა და გაოლვევის დაძლევა - გამოსწორების საქმეში.

პიონერული პრესა ახლოს უნდა იდგეს და ორგანიზაციის გულში ტრიალებდეს, უნდა ეხმარებოდეს მას ყოველდღიურ მუშაობაში, უნდა ხელმძღვანელობდეს მის ყოველდღიურ საქმიანობას და ბოლშევიკური სიმახვილით დაარტყას ყოველგვარ მავნე, გადახრას.

პიონერულმა პრესამ უნდა გაშალოს ფართე დისკუსია პიონერთა ყოფა - ცხოვრების საკითხებზე.

მან ყურადღება უნდა მიაქციოს პიონერთა შემოქმედებას და ხელი შეუწყოს მის გაღრმავება - განვითარებას. პიონერთა მონაწილეობა ყოველგვარ კომპანიაში, მათი [illegible] ყოველდღიური ბრძოლა გეგმის [illegible] ხუთწლედის ოთხ წელში შესრულებისთვის, — აი რა ამოცანები დგას და უნდა იდგეს პიონერული პრესის წინაშე.

ამ ათი წლის მანძილზე ჩვენი პიონერული პრესა ბოლშევიკურად ასრულებს თავის დანიშნულებას, იგი იდგა და დგას თავისი მოწოდების სიმაღლეზე, ამიტომ გადაიქცა ის პიონერ-მოძრაობის ორგანიზატორად და ინიციატივის ფურცლებად.

ჩვენი პრესის ფურცლები აქტიურად შეიჭრა პიონერთა მასებში, ჩაება მის ყოველდღიურ მუშაობაში და ამ ათი წლის განმავლობაში მისი საუკეთესო საყვირი იყო. იგი ებრძოდა ყოველგვარ მავნე გადახრას და სამაგალითოდ გამოჰქონდა მზის სინათლეზე პიონერ - ორგანიზაციის ყოველგვარი მიღწევა.

მართალია, პიონერულ პრესას ხშირად უხდებოდა თავისი განვითარების გზაზე დაბრკოლებანი და სიძნელეები, მაგრამ იგი ამ სიძნელეებთან ბრძოლისა და გამარჯვებებში მტკიცე ბოლშევიკური მებრძოლი შეიქნა.

ჩვენი პრესა მთელ პიონერულ მასებთან ერთად დგას და მომავალში კიდევ უფრო მეტის სიძლიერით იბრძოლებს ახალი საზოგადოების აქტიურ მშენებელთა აღზრდის საქმისთვის.

**ინი.**

# „შვილი ერისა“ და შვილი კლასისა

მსოფლიოში განთქმულ ამერიკელ მფრინავ **ლინდბერგს** ბანდიტებმა მოსტაცეს ერთად-ერთი ვაჟი. ოკეანის იქეთა მხარეს მდებარე უდიდესი რესპუბლიკა ძაძებში გაეხვია. პრეზიდენტმა ჰუვერმა ამ „მსოფლიო მნიშვნელობის“ მოვლენას მთავრობის სპეციალური სხდომა უძღვნა. შეერთებული შტატების მთელი პოლიცია ფეხზე დადგა. ბანდიტებს დაეძიებდენ ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში; ტელეფონებით, ტელეგრაფით, რადიოთი. მაგრამ კიდევ არიან ბანდიტები კოლუმბის ქვეყანაში, რომელთა დაჭერაც მოუხერხებელია. ამ გაცხარებულ მაძიებელთა დოლის ცხვირწინ ბანდიტებმა მიიღეს ლინდბერგისგან გამოსასყიდი თანხა ორმოცდაათი ათასი დოლარის რაოდენობით და შემდეგ დაუბრუნეს ბავში. დაუბრუნეს მცირე ბანდიტური შესწორებით: ბავში მკვდარი იყო.

იმ დღეს თითქმის იმავე დროს მსოფლიოში უცნობ ამერიკელ მელითონე მუშას ჯეკ კორსაც დაეკარგა ბავში. ჯეკ კორი ფორდის ქარხანაში მუშაობდა. ის იღებდა მონაწილეობას დემონსტრაციაში, რომელსაც ისე ბეჯითი გულმოდგინებით ხვრეტდა პოლიცია.

ლინდბერგის ცოლი ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლებთან საუბარში ჩიოდა მოსამსახურეთა დაუდევრობას, რომელნიც არ გაუფრთხილდენ ბავშს, რის გამოც მოხდა ბავშის გატაცება. ჯეკ კორის ცოლი არ უჩიოდა არავის; რასაკვირველია, მას არ გააჩნდა არც ერთი მოსამსახურე. იგი გაიქცა ქუჩაზე, რათა გაეგო ქმრის ბედი დემონსტრანტთა დახვრეტის შემდეგ, ბავში კი შინ დატოვა მარტოდ. ამერიკულ პრესაში თქვენ ნახავდით ლინდბერგის შვილის საწოლის სურათსაც, მდიდრულს და ბრწყინვალეს, როგორც ეგვიპტის ფარაონის ტახტი. ჯეკ კორის შვილის საწოლი იყო ცოტაოდენ ნაკლები ხარისხისა, ის იყო ნაგები უბრალო ბამბუკის შტოებისგან და დაფენილი თხელი ფანერით, ჩვილი ბავში გადმოცოცდა საწოლიდან და იგრძნო რა თავი მარტოდ, როგორც შეეძლო დაიწყო ოთახში საგანთა გადალაგება, ბოლოს — მელითონე კორის შვილი მდუღარე წყლით სავსე ქვაბში გაიფუფქა.

სამგლოვიარო პროცესია თითქმის ერთისა და იმავე დროს დაიძრა. თუმცა არც ერთი ბავში არ წარმოადგენდა მაინცა და მაინც შესანიშნავ რასმეს: მაინც საჭიროა მოვიგონოთ რომ ერთი მათგანი ეკუთვნოდა მჩაგვრელთა კლასს, მეორე — ჩაგრულთა. ეს იყო შესამჩნევი არა მარტო მათ სიცოცხლეში, არამედ მათ სიკვდილსა და გასვენებაშიც.

მფრინავ ლინდბერგის შვილის დასაფლავების ხარჯები მთავრობამ იკისრა, თუმცა ლინდბერგის სიმამრმა — მილიონერმა მოროუმ — შვილს სრული ასი მილიონი დოლარი დაუტოვა.



მე-41 შრომ. სკოლის მე-7 ჯგუფის მოწაფეები საზეინკლო პრაქტიკაზე

მელითონე კორის შვილის დასაფლავების ხარჯების შემსუბუქებაზე უარი განაცხადეს ყვითელმა პროფკავშირებმა იმ საფუძველზე, რომ ბავშის მამა აქტივისტი რევოლუციონერია. საჭიროა გავიხსენოთ, რომ კორის მიმდინარე ანგარიშზე არ გააჩნდა არც ერთი კაპეიკი, რადგან მას მიმდინარე ანგარიში სრულიად არ ჰქონია.

ულრმესი მწუხარების აღსანიშნავად და ლინდბერგისადმი პატივისცემის აღსანიშნავად, ლინდბერგის შვილის დასაფლავების დღეს ნიუიორკში ერთი წუთით შეაჩერეს ქალაქის მოძრაობა.

ულრმესი ზიზღის აღსანიშნავად პოლიციელმა არც მოისურვა გაქანებული ავტოს შეჩერება, რომელიც მოექანებოდა მელითონე კორისკენ, როცა იგი შინ ნაკეთები ურმით მიეზიდებოდა სასაფლაოსაკენ პატარა შვილის კუბოს. გამოქანებული ავტო დაეძგერა კორის ურემს და პატარა კუბო ფილაქანზე გადააგდო.

ამერიკული პრესა მხატვრულად აღწერს, თუ როგორ იტირა მფრინავმა ლინდბერგმა კრემატორიუმის წინ შვილი. ფოტოგრაფების არმია წამდაუწუმ აბრუნებდა აპარატებს. შემდეგ მან სამახსოვროდ შეაჭრა შვილს თმის რამოდენიმე კულული და გასცა კრემაციის დაწყების განკარგულება.

მელითონე კორის დროც კი არ გააჩნდა შვილის დასატირებლად. იგი პროლეტარის დაკოჟრებული ხელებით მოთმენით ჩქარა თხრიდა მიწას საფლავისათვის.

ინგლისის მთავრობის ოფიციალური ორგანოს—„დეილი ჰერალდი“-ს პირველსავე გვერდზე გაჩნდა სურათი „ლინბერგის ანგელოსისა“. მისი დასაფლავების დღეს. (კორის ბავშის სურათი, რასაკვირველია, არსად არ მოთავსებულა, თუმცა მთელი სიცოცხლის განმავლობაში მელითონე კორის არ გააჩნდა თანხა შეეყვანა შვილი ფოტოგრაფთან სურათის გადასაღებად). იმ ადგილას, სადაც ჩვეულებრივად თავსდება სურათი დიდი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეებისა, თქვენ ნახავდით ცხვირაწეული გულუბრყვილო ბავშის სახეს, იმ მანერით დახატულს, როგორც აღორძინების პერიოდის იტალიელი მხატვრები ხატავდენ ბავშს მადონას ხელში. არავითარი პოლიტიკური დასკვნების გამოტანა არ შეიძლებოდა იქედან, რომ ლინდბერგის ბავშის სახე გაცილებით სიმპატიური იყო, ვიდრე ვთქვათ, ბოლდუინისა.

ლინდბერგის ბავშის გარდაცვალება დიდ მოვლენად გადაიქცა. პირველად ამის შესახებ ეცნობა თვით პრეზიდენტ ჰუვერს. ავაზაკთა საძებრად არა ერთხელ გამოყენებული რადიო წამ - და უწუმ გადაცემდა ყოველ მხარეს, ავაზაკთა საყურადღებოდ, რათა მათ ეცნობათ ბავში განსაკუთრებით შენახვევი საკვებით. გარდა ამისა, რადიოთიგე ეცნობა საზოგადოებას, რომ ლინდბერგის ბავშის გარდაცვალების შემდეგ ერი არ დაობლებულა, რადგან ცოლი ლინდბერგისა ფეხმძიმედ აღმოჩნდა.

არ იქნება გადაჭარბიბული, თუ ვიტყვით, რომ სიკვდილი ლინდბერგის შვილისა იწვევს ახლა იმდენ ხმაურს, და გამოძახილს, რამდენსაც პრეზიდენტი დუმერის მკვლელობა.

ამერიკული რადიოკომპანიები გატაცებით და განსაცვიფრებელი მომზადებით გადასცემენ ლინდბერგის ინსტრუქციას ავაზაკთა საყურადღებოდ ბავშის განსაკუთრებული საკვებით მომარაგების შესახებ, ხოლო გადაწყვეტით უარს ამბობდენ ისინი გადაეცათ სიტყვა **სკოტსბორის** ტყვეთა დასაცავად, თუმცა ისინიც არსებითად ბავშები არიან და იმათაც ემუქრება სიკვდილით დასჯა.

ამერიკის მთავრობა სიამოვნებით მიიღებს კანონს ბურჟუაზიის შვილთა განსაკუთრებულად დაცვისა და თვალყურის დევნების შესახებ, და დაარქმევს მას „ლინდერბერგის ვაჟის კანონს“. მაგრამ იგი გულისწყრომით და ზიზღით უარყოფს კანონს ბავშვთა შრომის განსაზღვრის და შემცირების შესახებ.

ამერიკის მთავრობა მზად არის დანიშნოს ბინდბერგის შვილის სახელობაზე სპეციალური სტიპენდიები (რომლესაც აუცილებლად ისევ მდიდართა შვილები მიიღებენ, რომელთაც ეს თანხა მხოლოდ გასართობად თუ დასჭირდებათ), ხოლო იგი უარს იტყვის კორის შვილის სახელობაზა გასცეს უმუშევართა შვილების სასარგებლოდ დამატებითი დახმარება, თუ გინდ ეს დახმარება 24 კაპეიკს უდრიდეს, როგორც ეს კასელში მოხდა.

მთელი მსოფლიოს პოლიცია გაასკეცებული ენერგიით დაუწყებს ძებნას და დევნას დამნაშავეებს, რომელთაც მოკლეს ლანდბერგის პატარა ვაჟი, მაგრამ იგი დაუსჯელი დასტოვებს ზედამხედველთა მთელ არმიას, რომელიც მთელი, კაპიტალისტურ ქვეყნების ფაბრიკებში დამნაშავენი არიან ათეულ და ასეულ პატარა პროლეტართა სიკვდილში.

გულკეთილობა და შებრალების გრძნობა ბურჟუაზიის სხეულში აყვავდება და იშლება მაშინ, როცა მათ წინ არის „ერის შვილი“, როგორც სიმბოლო ყველა კლასის გაერთიანებისა ექსპლოატატორებს და მჩაგვრელთა დროშის ქვეშ. მაგრამ როგორც კი ბურჟუაზიის თვალწინ გამოჩნდება „კლასის შვილი“, და ისიც მისი მოწინაალმდეგე კლასისა იგი კარგავს გრძმობას გულკეთილობის, შებრალების და საერთოდ ადამიანურ გრძნობებს. იგი განიცდის ამ ბავშვისადმი ზიზღს და წყრომის აღტყინებას, რადაგან მტერი მაშინ უფრო საშინელია, როცა ახალგაზრდაა და მთელი მომავალი წინ აქვს.

ლინდბერგის შვილის სიკვდილი დოლარის ქვეყანაში თითქმის პოლილიტიკურ მოვლენად გადაიქცა. მელითონე კორის სიკვდილიც ამავე დოლარის ქვეყანაში აგრეთვე პოლიტიკურ მოვლენად გადაიქცევა. ამ ორი წვრილი ფაქტის შეჯახება ათას მამის და ბავშვის გულში იფეთქებს ახალ რევოლიუციონურ ხანძრად, და უფრო მწველად აინთება კლასობრივი ზიზღის კოცონი

## სკოტსბოროს ტუსაღები

ამერიკაში, ალაბამის შტატში, ქალაქ სკოტსბოროში ბურჟუაზიულმა სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა შვიდ ახალგაზრდა ზანგს, ერთს კი, 14 წლის ყმაწვილს — მუდმივი კატორღა.

ეს 8 ზანგი საბარგო ვაგონით მოდიოდა, ისინი დაეძებდენ სამუშაოს, დაეძებდენ ლუკმაპურს. ამ ვაგონში ბევრი ზანგი იყო და რამდენიმე თეთრკანიანი — ფაშისტები. ფაშისტებს არ სურდათ „საზიზღარ“ ზანგებთან ერთად მგზავრობა და ჩხუბი აუტეხეს მათ. ზანგებმა ვაგონიდან გამოყარეს ფაშისტები და მიიმალენ. გასამართლებულ რვა ზანგს ამ ჩხუბში მონაწილეობა არ მიუღია.

„თავისუფალ“ ამერიკაში ზანგს არა აქვს უფლება თავი დაიცვას თეთრებისაგან, თუ კი მან ხელი შეუბრუნა თეთრკანიანს, თუ კი ზანგი მუშაა — ის უნდა მოკვდეს. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ რვა ზანგი უდანაშაულოა — ისინი ხომ მუშები არიან, მათი კანი ხომ შავია, — ისიც საკმარისია, რომ ისინი დამნაშავეებად იცნონ. რვა ახალგაზრდა ზანგი შეიპყრეს, გაასამართლეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს შვიდ მათგანს. ამ განაჩენით სურს ამერიკის ბურჟუაზიას ზანგი მუშების დაშინება, იმ მუშების, რომელნიც უკვე ირაზმებიან საბრძოლველად, ამით სურს მას ხელი შეუშალოს თეთრკანიანი და შავკანიანი პროლეტარების მთლიანი ფრონტის განმტკიცებას. 24 ივნისს სიკვდილით უნდა დასაჯონ ისინი, 24 ივნისს ელექტროსკამზე უნდა დასვან ისინი...

„ეს არ უნდა მოხდეს! ზანგი მუშები ცოცხალი უნდა იყვნენ“. — ასე გაიძახიან მთელი მსოფლიოს მუშები და დანარჩენი მშრომელები.

მუშებთან ერთად ყველა ქვეყნის პროლეტარული ბავშებიც გაჰკივიან:

— ნუ მისცემთ ჯალათებს ელდენის ჩართვის ნებას!

— გაათავისუფლეთ სკოტსბოროს ტუსაღები!

ალ. გოკერია

# რკინა

**რა მნიშვნელობა აქვს რკინას?**

რკინა ყველაფერზე უფრო ძვირფასი და აუცილებელია ჩვენი განვითარებისა და წინსვლელობისათვის.

იმ ქვეყნებში, სადაც კარგად განვითარებულია რკინის წარმოება, განვითარებულია სხვა წარმოებებიც, როგორც, მაგალითად, მანქანების მშენებლობა, სასოფლო - სამეურნეო იარაღების მშენებლობა, ტრაქტორების და ავტომობილების ქარხნები და სხვა მრავალი. თუ ქარხანა წარმოება მრავალია, მაშინ ქვეყანა ტექნიკურადაც განვითარებულია და, მაშასადამე, ეკონომიურადაც ძლიერია. საბჭოთა კავშირს გარშემორტყმული ჰყავს კაპიტალისტური მტაცებლური სახელმწიფოები, რომელნიც ცდილობენ მის განადგურებას. აქედან ცხადია, რომ თუ ჩვენ მუდამ დავრჩით მათგან დამზადებულ მანქანებზე დამოკიდებული, ყოველთვის მოგვიხერხებენ განადგურებას. ამისათვის უნდა ვეცადოთ ისე განვითარდეს ჩვენი წარმოებანი, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებთან არ გვექნეს დამოკიდებულება, ასეთი განვითარებისათვის კი საჭიროა რკინა. რკინა თუ გვექნება, შეგვიძლია ყოველგვარი მანქანათმშენებლობის განვითარება.

ჩვენს კავშირს აქვს სატრაქტორო ქარხანა (ხარკოვში), სტალინგრადში და სხვა, საავტომობილო — ნიჟნი-ნოვგოროდში და მოსკოვში. როსტოვში — სასოფლო-სამეურნეო იარაღების და სხვა მრავალი, რისთვისაც საჭიროა რკინის დიდი რაოდენობა, სწორედ ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ პირველ რიგში მიზნად დაისახა გააკეთოს ისეთი ქარხნები, სადაც რკინა და ფოლადი დამზადდება. 1932 წელს მთელ საბჭოთა კავშირში გამოდნობილი იქნება 9 მილიონი ტონა რკინა, ხოლო მეორე ხუთწლიანი გეგმის ბოლოს ჩვენ საკმაოდ გვექნება რკინა, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს სამანქანო მშენებლობათა მოთხოვნილებებს.

### რა სახითაა ბუნებაში რკინა

წმინდა რკინა ბუნებაში არ მოიპოვება. იგი არეულია მთის სხვადასხვა ჯიშში და მას **რკინის მადანს** უწოდებენ. ზოგან ეს მადანი დედამიწის ქერქში ფენებადაა დალაგებული, ხოლო ზოგან ნაგლეჯ ქვებშია შერეული. ეს ქვები მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილია დედამიწის ზურგზე მეტეორიტების სახით. თუ შეგიმჩნევიათ, ვარსკვლავეთიან ღამეში მოწყდება ვარსკვლავი და ინაცვლებს ადგილს. ასეთი ვარსკვლავი ხშირად ვარდება დედამიწაზე ქვის სახით. ასეთ ქვებს მეტეორიტი ეწოდება. მეტეორიტი ზომით ძალიან დიდებია, ხშირად 500 ტონამდეც აღწევს თითო. მაგალითად, პირველ ნახატზე ნაჩვენებია ქვა, რომელიც გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ცხენი და იქვე მდგომი კაცები. ეს ქვა გადაღებულია მაგნიტნოეში, (ურალშია), სადაც ასეთ ქვებიანი მთელი რაიონებია. მეტეორიტები ბევრია აგრეთვე ამერიკაში, ახალ ზელანდიაში, აფრიკაში და სხვა.

ის, ქვეყანა, რომელსაც ბევრი აქვს რკინის მადანი, საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა ტექნიკური განვითარებისათვის. ამ მხრივ საბჭოთა კავშირს ერთ - ერთი პირველი ადგილი უჭირავს მთელ მსოფლიოში. ურალის მთები უკრაინის მთელი რა-





იონები, ციმბირი, კაზახსტანი, ამიერ-კავკასია და მრავალი სხვა მხარე სავსეა რკინის მადნით, მაგ. ა.-კავკასიაში ყველაზე მძლავრი ბუდობები რკინის მადნისა **დაშკესანშია** (აზერბეიჯანი), სადაც მალე დაიწყება მისი დამუშავება, ხოლო **ჩათახში**, რკინის წარმოება. ეს ადგილმდებარეობა ჯერ კიდევ შეუსწავლელია რკინის მადნის რაოდენობის მხრივ.

რკინის მადანი ცნობილია აგრეთვე შავი ზღვის ნაპირებზე, მდ. სუფსასთან. აქ ის მიწის ფენებში კი არ არის ჩალაგებული, არამედ მუქი სილის სახით გაბნეულია ზღვის ნაპირებზე, — ის მდინარეს მრავალი წლის განმავლობაში ჩამოურეცხავს მთიდან და ჩაუტანია ზღვაში. მას „სუფსის მაგნეტიანი სილა“ ეწოდება, ვინაიდან მაგნეტური თვისება აქვს და შესაძლებელია მისგან საუკეთესო ხარისხის ფოლადის მიღება.

რკინის მადნის ფენები დედამიწის ქერქში სხვადასხვა სიღრმეზეა და სხვადასხვა მინარევს შეიცავს. ამისდამიხედვით განისაზღვრება მისი დამუშავების სიძნელეც.

რკინის გამოსადნობად ღუმელია საჭირო.

პირველყოფილ ადამიანებს ბუნებასთან ბრძოლისათვის იარაღები სჭირდებოდათ. ამ იარაღებს ისინი ამზადებდნენ ჯერ ქვისაგან, ხოლო შემდეგ ლითონებისგან (ბრინჯაოს ხანაში). როცა ადამიანი უფრო განვითარდა, მან ბუნებაში მიაგნო რკინის მადანს, რომლის დამუშავება, ე. ი. გამოდნობა, დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

პირველში მოაწყვეს ქვისაგან კერა, სადაც ანთებულ ნახშირთან ერთად ყრიდნენ რკინის მადანს. მაგრამ სასურველ შედეგს აქედან ვერ აღწევდნენ. შემდეგ მათ ამოთხარეს ორმო მიწაში და ეხლა იქ ჩაყარეს ანთებულ ნახშირთან ერთად მადანი. ამასთან ერთად ორმოს გაუკეთეს მილი, რამაც გამოიწვია ცეცხლის უფრო გაჩაღება, ამან კი მადანზე იმოქმედა, მადანმა სახე შეიცვალა და თითქოს გადნა; მიუხედავად ამისა, „გამდნარი“ მადანი, ყოვლად უვარგისი იყო, რადგან ის ლრუბელს გავდა და იფშვნებოდა, ასე რომ მისი გამოყენება შეუძლებელი იყო.

ამის შემდეგ დაიწყეს ფიქრი იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოთ ღუმელი, ისე, რომ ცეცხლი უფრო გაჩაღებულიყო და სიმხურვალე მეტი ჰქონოდა. ამისათვის მათ დაამზადეს ცხოველის ტყავისაგან საბერველი, რომელიც ამ ღუმელს დაუტანიეს ქვემოდან და ანთებულ ნახშირს და რკინას განუწყვეტლივ უბერავდენ. (მე-2 ნახატზე ნაჩვენებია ეს ღუმელი) ამ პირობებში, რამოდენიმე საათის შემდეგ, ორმოში მადანი გადადნა. ორმო-ღუმელის ფსკერზე დაგროვდა გაცილებით სუფთა რკინა, რომელიც საჭირო სიმაგრის აღმოჩნდა, მაგრამ არც იმის გამოჭედვა მოხერხდა. ის ყოველ ჩაქუჩის დარტყმაზე იმსხვრეოდა. ამის მიზეზი შემდეგი იყო:

**როცა რკინის მადანი დნება ნახშირში, რკინას უერთდება ნახშირის ნაწილი და მას ხდის მსხვრევადად. ასეთ ნახშირიან რკინას ეწოდება თუჯი.**

თუჯი არ იჭედება, რის გამოც მაშინ ძნელი შეიქმნა მისი გამოყენება. ბევრი ფიქრის შემდეგ მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ გადნობილი, ე. ი. თხევადი თუჯი ჩამოესხათ წინასწარ დამზადებულ ყალიბებში, იმის დამიხედვით თუ რა საგნები იყო საჭირო.

გაუკეთეს ხსენებულ ღუმელს ქვემოთ ხვრელი და ყოველი გადნობის შემდეგ ასხამდენ ყალიბებში ამ ხნიდან იწყება რკინის გამოყენება.

რკინის გამოყენების შემდეგ (თუჯის სახით) ძალიან გაიზარდა მისი მოთხოვნილება. ყველაფერ მაგარ საგანს თუჯისაგან ამზადებდენ, რაც მოითხოვდა ღუმელების გადაკეთებას, რომ დიდი რაოდენობით დამზადებულიყო თუჯი და მისი დამუშავება გაადვილებულიყო. ამისათვის ღუმელები გაადიდეს, საბერველი გააუმჯობესეს, რაზედაც იყენებდენ ჯერ ცხოველებს, ხოლო შემდეგ წყლის ძალას და თანდათან ახალი გაუმჯობესებებით მიდიოდა წინ თუჯის გამოდნობა.

დაბოლოს საჭირო შეიქმნა არა მიწის ორმო-ღუმელი, არამედ ღუმელი მიწაზე აშენებული—ნაწარმოო მნიშვნელობის.

დროთა განმავლობაში ადამიანმა ასეთი ღუმელის გაკეთებაც მოიფიქრა. ორთქლის მანქანის გამოგონებამ ამ საქმეს ძალიან შეუწყო ხელი. გაკეთდა მაღალი ღუმელი, რომელსაც მადანს განუწყვეტლივ აყრიდნენ ზემოდან, იქვე იყრებოდა ხის წინასწარ დამზადებული ნახშირიც და ორივე ერთად ნელა-ნელა მიიწევდა ქვევით. საბერველი მოწყობილი იყო ორთქლის მანქანით, რომელიც დიდ სიმძლავრით უბერავდა ქვემოდან, სადაც განუწყვეტელი დნობა წარმოებდა.

ამჟამად მთელი რიგი სახელმწიფოები აუარებელი რაოდენობის თუჯს ამზადებენ არა მარტო საკუთარ საჭიროებისათვის სხვა ქვეყნებშიდაც აგზავნიან.

მადნის გასადნობად საჭიროა ხის ნახშირი და, მაშასადამე ტყეც. რაც მეტი იყო გამოსადნობი ქარხნები, მით მეტი და მეტი ტყე იყო საჭირო, და ამან ძალიან ცუდი მდგომარეობა შექმნა.

საქმე ისაა, რომ ნახშირი ძალიან ბევრ ტყეს მოითხოვს, ხოლო ბევრი ტყის გაჩეხვა მცხოვრებთათვის ძალიან ცუდია: შრება მდინარეები, ჩნდება სხვადასხვა ავადმყოფობა და სხვა.

ერთ დროს ინგლისში ისეთი ცუდი მდგომარეობა შეიქმნა ამის გამო, რომ მეფე ელისაბედმა (17 საუკუნეში) გასცა ბრძანება—შეეწყვიტათ თუჯის გამოდნობა ინგლისის მთელ ტერიტორიაზე.

ამ ბრძანებამ ძალიან შეაფერხა თუჯის წარმოება. აუარებელი ქარხანა გაჩერდა, და თუჯი გაძვირდა. ამ მდგომარეობამ დააფიქრა მაშინდელი მწარმოებლები. საჭირო იყო ისეთი საწვავი მასალა, რომელიც ქურაში, შეცვლიდა ნახშირს. ბევრი ფიქრისა და უნაყოფო ცდების შემდეგ ესეც შესაძლებელი შეიქმნა. 1665 წელს ინგლისელმა **დოდლემ** აღმოაჩინა ღუმელში ხის ნახშირის მსგავს სახმარი ახალი ნივთიერება—ეს იყო **ქვანახშირი.**

ქვანახშირი ისე მოიპოვება ბუნებაში, როგორც რკინის მადანი, რის გამოც მისი გამოყენებაც ხის ნახშირთან შედარებით ძალიან იაფი ჯდება. ამას გარდა, არც მოსახლეობას ვნებს მისი მიწიდან ამოღება. ამის შემდეგ ყველა გაჩერებული ღუმელი კვლავ ამუშავდა და ყველგან, სადაც კი თუჯის გამოდნობა წარმოებდა, ხის ნახშირი ქვანახშირით შეიცვალა. ამ ახალმა აღმოჩენამ სრულიად გამოცვალა თვით ღუმელების სახე და მოწყობილობაც. ასეთ ღუმელებს ბრძმედი ეწოდება. რომელთაც გავეცნობით შემდეგ საუბარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვადასხვა

## რათ გვმატებს ხალისს მუსიკის სწრაფი ტემპი

ჩვენი გულის თვისებაა—გააძლიეროს თავისი რიტმი, თავისი ძგერა, როდესაც სწრაფი რიტმული ხმები გვესმის. ჩვეულებრივ პირობებში ჩვენი მაჯისცემა წუთში 70 უდრის. სწრაფი მარშის რიტმს უფრო მეტი სისწრაფე აქვს, ვიდრე ჩვენ მაჯისცემას, რის გამოც ჩვენი გული უფრო სწრაფად იწყებს მუშაობას, ეს კი იწვევს სისხლის ცირკულაციის აჩქარებას, რის გამოც უფრო ყოჩაღად ვგრძნობთ თავს. როდესაც ჯარისკაცები ფეხს აყოლებენ მუსიკის ხმას, სიარული მათ ნაკლებად ღლის, ცხენებზეც ასევე მოქმედობს მუსიკა.

## შეიძლება თუ არა შიშისგან სიკვდილი

საექიმო ლიტერატურაში აღწერილია შიშისგან სიკვდილის შემთხვევები. შიში ორგანიზმში იწვევს ძალიან დიდ ცვლილებებს და შეიძლება ისე დიდი ცვლილებებიც გამოიწვიოს, რომ ამას სიკვდილი მოჰყვეს. შიშზე შეიძლება დაავადმყოფება, დამუნჯება და სხვ. შეიძლება ძლიერმა სიხარულმაც გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი ზემოდასახელებული მიზეზების გამო.

## რათ ვფითრდებით შიშისაგან?

ჩვენს ორგანიზმში არის სხვადასხვან ჯირკვალი; ჰაჭების ზემოთ არის ჯირკვლები, რომლების მიერ გამონაყოფი ნივთიერება იწვევს ჩვენ კანქვეშ არსებული სისხლსადენი წვრილი მილაკების შეკუმშვას, რის გამოც სისხლი ამ მილაკებიდან უცბად გადის, ეს კი იწვევს სახის გაფითრებას. შეიძლება ასე ავხსნათ ეს გარემოება: ბრძოლის დროს მიღებული ჭრილობებისაგან, გაკაწრული ადგილებიდან რომ სისხლს არ ედინა და არ დასუსტებულიყო ადამიანი ორგანიზმმა, თავდაცვისათვის, შეიმუშავა ეს შეკუმშვა სისხლსადენი მილაკებისა, რაც იწვევს გაფითრებას.

## რათ ვწითლდებით?

ჩვენს სიწითლეს იწვევს იმ სისხლსადენი მილაკების გაფართოება, რომლების შეკუმშვაც, შეშინების დროს, იწვევს ჩვენს გაფითრებას. სისხლი ამ მილებში უხვად შემოიჭრება მათი გაფართოების გამო, და სახეს სიწითლე გადაჰკრავს. რა იწვევს მათ გაფართოებას?—ტვინისაგან გაცემული ნერვიული ბრძანება. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, თუ რით უნდა აიხსნას გაწითლება ჩვენი სირცხვილის დროს.

## რათ ადებენ ველურები ყურს მიწას, რომ უკეთ გაიგონონ შორეული ხმები?

ხმის ტალღები უფრო ჩქარა და უკეთ გადის მაგარ საგნებში, ვიდრე ჰაერში. თუ მიწას დავადებთ ყურს, შეიძლება გავიგონოთ შორს მყოფი რაზმის სიარულის ხმები, ცხენების ფეხის ხმა და სხვ. 1914 წლის ომის დროს მეცნიერებმა გააუმჯობესეს ის მოწყობილობანი, რომლებითაც შეიძლება გავიგონოთ ძალიან სუსტი ხმებიც, მიწაში რომ გადის. ამრიგად გებულობდენ მტრის ჯარების მოძრაობას, ტრანშეების თხრის დაწყებას, ნაღმების ჩაწყობას და სხვ.

## რა იწვევს წყურვილს?

ჩვენი სხეულის ორ მესამედს წყალი შეადგენს. სუნთქვის დროს ჩვენ მუდამ ვკარგავთ წყალს და მას ანაზღაურება სჭირდება, რისთვისაც ვსვამთ წყალს.

## რათ უზომავენ ექიმები ავადმყოფს სიცხეს?

ადამიანის ტანის ნორმალური ტემპერატურა ცელსიუმით 36,5 გრ. უდრის. თუ ტემპერატურამ აიწია ან დაიწია, ეს უკვე იმის ნიშანია, რომ ორგანიზმში რაღაცა ხდება; ამრიგად, ტანის ტემპერატურის შეცვლა ავადმყოფობის პირველი ნიშანია.



საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ტფილისი

გაზ. „კომუნისტი"-ს სტამბა კამოს ქ. № 68. ტირაჟი 4300. შეკვეთა № 1745. მთავლ. რწმ. № 186